გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N12 (9263) 30 აპრილი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

ფაროსანას გამანადგურებელი ტექნიკა სამტრედიის მინდვრებში გავიდა

2

ვანსა და ხონს ახალი მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავს

უანგარო დონაციის აქცია სამტრედიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით

მადლობა „სამტრედიის მაცნესთვის!"

ნატოს გამარჯვებული სამტრედიაშიც გამოვლინდა

3

„ერთი დღე ჯარში"

4

5

პოლიციელებს თავისი პროფესიული დღე აქვს

ამდენი წიგნის გაჩუქება [illegible] აქცია

8

ფაროსანას გამანადგურებელი ტექნიკა სამტრედიის მინდვრებში გავიდა

ნათია ნაცვლიშვილი

სახელმწიფომ ფაროსანას გამანადგურებელი სპეცტექნიკის რეგიონებში შეყვანა დაიწყო. ვინაიდან კოლხეთის დაბლობი და მათ შორის, სამტრედია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მძიმე ზონად განიხილება, სამტრედიას ექვსი მანქანა და ერთი ტრაქტორი გამოეგზავნა. ქვეყანაში რამდენიმე თვეა მოქმედებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საორგანიზაციო შტაბი, შტაბის ხელმძღვანელმა, ლაშა შალამბერიძემ და სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა სამტრედიის მერიის შენობის წინ გაამართეს:

როგორც ხელისუფლების პირველ პირებს, ისე სოფლებში მერის წარმომადგენლებს განემარტათ, რომ მანქანები მინდვრებში გავა და შეწამვლა დაიწყება. ლაშა შალამბერიძის თქმით, პირველ ეტაპზე ტყის მასივების და მინდვრების ცივი შესხურება მოხდება სახელწოდებით "მოიზიდე და მოკალი". მეორე ეტაპის სახელწოდებაა "თერმული ნისლი". ამ შემთხვევაში შეწამვლა მიმდინარეობს სოფლებში. სპეციალისტები გვპირდებიან, რომ საჭიროების შემთხვევაში ტექნიკას და შესაწამლ საშუალებებს მოგვაწვდიან. ტექნიკის მუშაობის დემონსტრირება, თუ როგორ და რა პერიმეტრზე აწარმოებს შეწამვლას დანადგარი, სამტრედიის ადმინისტრაციული შენობის წინაც მოეწყო.

მამუკა კვანტალიანი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის პირველი კატეგორიის სპეციალისტი: " საინფორმაციო კომპანიას კარგა ხანია ვახორციელებთ, თუ რა უნდა გააკეთოს ფერმერმა და რას აკეთებს სახელმწიფო. როგორ გამოიყენოს მოსახლეობამ ის პრეპარატი, რაც სახელმწიფომ აჩუქა მას.

ტექნიკა შარშან ორი ერთეული გვქონდა და ვუმკლავდებოდით, დღეს 6 მსუბუქი მანქანა და ერთი ტრაქტორია, ერთ წელიწადში ამ პრობლემასთან გამკლავება ძნელია, მოსახლეობამ და სახელმწიფომ ერთად უნდა შეძლონ, რომ რამდენიმე წელში თავიდან მოვიშოროთ ეს მავნებელი მწერი."

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია: _ სურსათის უვნებლობის სამსახურს დაგეგმილი აქვს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ამ ღონისძიებების გატარება. ერთ-ერთ ცხელ წერტილად მიჩნეულია ჩვენი მუნიციპალიტეტი, ამიტომ მოხდა გარკვეული ტექნიკის ჩვენთან მობილიზება. მომსახურე პერსონალი თავად შეარჩიეს, ამ ადამიანებმა ტრენინგები გაიარეს. ჩვენ მხოლოდ ვეხმარებით სურსათის უვნებლობის სამსახურს, რომელიც თავად ახორციელებს სამუშაოებს.

_ მუნიციპალიტეტის მერს რა შეუძლია უთხრას რიგით მოქალაქეს, მოვერევით ფაროსანას?

_ მე ძალიან იმედიანად ვარ განწყობილი, ნუ შეუშინდებიან ფაროსანას, უფრო დიდი საშიშროება გვქონია, მაგრამ გავმკლავებივართ და დაგვიძლევია.

ზურაბ ჩეკურიშვილი, სურსათის უვნებლობის სამსახურის უფროსი:

"ამ საკითხში სახელმწიფოს თავისი წვლილი აქვს, თითოეულ ფერმერს კი თავის წვლილი. ჩვენ ერთიანად ამ პრობლემას გავუმკლავდებით, სრული მობილიზაცია იწყება, მწერის ძალიან დიდი კონცენტრაციაა ტყეებში, იქვე გავანადგურებთ მას, რომ ის არ წავიდეს მოსახლეობაში. აქ ჩამოსული არის ცივი შესხურების სახმელეთო ტექნიკა და თერმული ნისლის ტექნიკა. გარდა ამისა, ივნისისთვის, როცა სიმინდისთვის იქნება საჭირო, კიდევ დაემატება მძიმე ტექნიკა ტრაქტორების და დიდი შემსხურებლების სახით და თუ კვლავაც საჭირო იქნა, დაემატება ავიაციაც."

ვანსა და ხონს ახალი მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავს

2018 წლის 28 აპრილს ვანისა და ხონის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები გაიმართა. რეგისტრირებული იყო 6 კანდიდატი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 57,86% "ქართული ოცნების" კანდიდატი გივი ჭიჭინაძე ლიდერობს, რომელსაც მანამდე იმერეთის გუბერნატორის პოსტი ეკავა.

ვანსა და ხონში 60-ვე უბანზე არჩევნებმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

"დიდი პასუხისმგებლობა ავიღე საკუთარ თავზე და გავხდი ორი მუნიციპალიტეტის, ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში. მადლობა ჩემს ამომრჩევლებს მხარდაჭერისა და გვერდით დგომისათვის". _ განაცხადა გივი ჭიჭინაძემ.

უანგარო დონაციის აქცია სამტრედიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით

ნათია ნაცვლიშვილი

ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკში სისხლის უანგარო დონაციის აქცია სამტრედიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა. აქციის ჩატარების იდეა სამტრედიის რაიონულ პროკურორს, მალხაზ გეწაძეს ეკუთვნის. აქცია მისი თაოსნობით განხორციელდა პროექტის "საზოგადოებრივი პროკურატურა" ფარგლებში. სისხლის უანგარო დონაციის აქციის დევიზია "გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად". აქციაში სამტრედიის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს შსს ვანის, ხონისა და სამტრედიის სამმართველოების ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა. ამ ფართომასშტაბიან აქციაში ამჯერად 45 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა ლაშა კვანტალიანს, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის სამტრედიის დირექტორს: "აღნიშნული აქციის მიზანია საქართველოს პროკურატურის წვლილის შეტანა სისხლის ბანკის მარაგის შევსებაში, რაც სამაგალითოა სხვა უწყებებისათვის, ჩვენი დაწესებულების ხელმძღვანელის, ქალბატონ ნატალია კვანტალიანის სახელით, ასევე, მისი ხელმძღვანელობით ჩვენი დიდი კოლექტივის (საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტი ადამიანი) სახელით მინდა მადლობა გადავუხადო სამტრედიის რაიონულ პროკურატურას, აქციაში მონაწილე ყველა დონორს და განსაკუთრებით რაიონულ პროკურორს, ბატონ მალხაზ გეწაძეს. რომ არა მისი ძალისხმევა და მხარდაჭერა, აღნიშნული აქციის ჩატარება ძალიან გაგვიჭირდებოდა. ჩვენ მუდამ თქვენს სამსახურში ვართ, სიკეთე გადამდებია."

მალხაზ გეწაძე, სამტრედიის რაიონული პროკურორი:

"პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს ვანის, ხონისა და სამტრედიის სამმართველოს ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს აქტიური ჩართულობისათვის, ასევე ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკს და მის ხელმძღვანელ ლაშა კვანტალიანს. ამ საქველმოქმედო აქციის იდეა გაჩნდა, იმის გამო, რომ ზოგადი სტატისტიკის თანახმად, სამ წამში ერთ ადამიანს სჭირდება სისხლის გადასხმა და საზოგადოების 50 პროცენტს აქვს იმის უნარი, გაიღოს სისხლი, მაგრამ ინფორმირების დაბალი დონის გამო მხოლოდ ერთი პროცენტი აკეთებს ამას. დღევანდელი აქციის მიზანია, გარდა იმისა, რომ შევავსოთ სისხლის ბანკის მარაგი, მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, მეტი ადამიანი ჩაერთოს სისხლის უანგარო დონაციის აქციაში და გადაარჩინონ ადამიანთა სიცოცხლე."

მარიამ მელაძე, სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორი: " ჩვენი დღევანდელი აქციის მიზანი ქველმოქმედებაა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს პროკურატურა და მათ შორის, სამტრედიის რაიონული პროკურატურა პროექტ "საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში აწყობს სხვადასხვა აქციებს. ერთ-ერთია დღევანდელი აქცია, სისხლის ბანკში ვაბარებთ სისხლს, წარმოდგენილნი არიან როგორც სამტრედიის რაიონული პროკურატურის თანამშრომლები, ისე ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სამივე რაიონის _ ვანის, ხონისა და სამტრედიის სამმართველოს თანამშრომლები, მიზანი არის ის, რომ ჩვენი სისხლის გაღებით დავეხმაროთ ადამიანებს და მათ სიკეთე მოვუტანოთ."

სამტრედიაში მაღალჩინოსნები დააკავეს

სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება და ინფრასტრუქტურული სამუშაოების არაჯეროვნად შესრულება _ მხოლოდ აპრილში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 4 კომპანიის ხელმძღვანელი დააკავა და სამი თანამდებობის პირი პასუხისგებაში მისცა.

3 აპრილს სუსმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ირაკლი სულავა 20 ათასი ლარის ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა. სასჯელი 7-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

23 აპრილს სუსმა სამტრედიის მერიის თანამშრომელი ასევე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა. სადავო ტენდერი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობას ეხება. სუსმა გაარკვია, რომ ავთანდილ ნაცვლიშვილმა ტენდერში გამარჯვებულ მეწარმეს სამუშაოს კომისიური წესით უპრობლემოდ ჩაბარებისა და თანხის დროულად ჩარიცხვის სანაცვლოდ 500 და მეორე შემთხვევაში 700 ლარი მოსთხოვა. გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს. სასჯელი, სავარაუდოდ, 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნინო ნანიტაშვილი

ჩერნობილი გაიხსენეს

ნინო ნანიტაშვილი

ე. წ. სამტრედიელი ჩერნობილელები ადმინისტრაციულ შენობასთან 2018 წლის 26 აპრილსაც ტრადიციულად შეიკრიბნენ და ერთმანეთის ჯანმრთელობა მოიკითხეს. გაიხსენეს 1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკზე მომხდარი ავარია, რაც იყო ბირთვული მოვლენათა საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია.

26 აპრილის ტრაგედია შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზიანით.

სალიკვიდაციო სამუშაოებში 600 000 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის სამტრედიიდან _ 45. მათგან 20 სხვადასხვა წელს გარდაიცვალა. მელაურელი 69 წლის ცოტნე გიგინეიშვილი კი უკანასკნელ გზაზე ზუსტად 26 აპრილს გაიცალეს ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე სამტრედიელებმა. მათ გვერდით იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში ყოველწლიურად გათვალისწინებულია ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 ლარის სახით. თანხა ეძლევა როგორც უშუალო მონაწილეებს, გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახის წევრებს.

მუნიციპალიტეტის მერმა პარლამენტის წევრებს უმასპინძლა

ლევან გაბეჩავა

ახალგაზრდული პარლამენტის წევრები სტუმრობდნენ 20 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას.

პარლამენტში სამტრედიის საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან გაერთიანებულები.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები გულთბილად მიესალმნენ ახალგაზრდებს და შინაარსიანი, უშუალო საუბრისათვის შესაბამისი გარემო შეუქმნეს.

კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა შეხვედრა, აღსანიშნავია, რომ არ იგრძნობოდა ფასადურობა, როგორც კითხვები, ისე პასუხები საოცრად გულთბილი იყო.

მეაბრეშუმეობის-მეთუთეობის, საკონსერვო-გადამმუშავებელი მრეწველობის აღორძინება, ქალაქში საფოსტო ყუთების დადგმა მოქალაქეთა წინადადებისათვის და ა. შ. არაერთ საინტერესო, მუნიციპალიტეტისათვის მართლაც საჭირო და აუცილებელი საკითხი დასვეს ახალგაზრდებმა, რომელთა მოგვარებითაც ბიუჯეტიც იხეირებს და ხალხიც დასაქმდება.

როგორც ვთქვით, გულწრფელი იყო შეხვედრის ყველა მონაწილე, მუნიციპალიტეტის მერიც, რომელიც მისი, როგორც მერისა და მუნიციპალიტეტის თავკაცის პოზიციებიდან, შესაძლებლობის ფარგლებში მხარდაჭერასა და თანადგომას დაპირდა ახალგაზრდა პარლამენტარებს.

“როგორც ოჯახებში, ასევე მუნიციპალიტეტში არის პრიორიტეტული, პირველი რიგის საკითხები, თუმცა, ეტაპობრივად ყველაფერი გაკეთდება. ხშირად გრძელ ფურცელზე ჩამოვწერთ გასაკეთებელ, მოსაგვარებელ საკითხებს და შემდეგ ერთობლივად ვიხილავთ, მათგან რომლის მოგვარებაა საჭარო, ბიუჯეტი რის საშუალებას მოგვცემს და ა. შ.

ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სკოლამდელი დაწესებულებები, ინფრასტრუქტურა, არის საკითხები, რომლებიც ასე თუ ისე მოგვარდა, თუმცა მოსაგვარებელი ბევრია, რაც შეეხება მსგავს შეხვედრებს, კარგია, რომ ახალგაზრდებიც ზრუნავთ და ფიქრობთ სამტრედიაზე”. _ მიმართა ვალერიანე ფოცხვერიამ ახალგაზრდა პარლამენტარებს, რომელთაც კიდევ ერთხელ აღუთქვა თანადგომა და დახმარება ყველა სასიკეთო პროექტისა და წამოწყების განხორციელებაში.

მივესალმები მსგავს აქტივობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მოტივაციას, ჩვენ კი ვეცდებით შეძლებისდაგვარად მხარში დავუდგეთ მათ, განაცხადა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსაურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ.

ნატოს გამარჯვებული სამტრედიაშიც გამოვლინდა

ნინო ნანიტაშვილი

ნატოს დღეები იმერეთის რეგიონში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა. ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ინიციატივითა და სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლობით ნატოს თემაზე ესეების კონკურსი გამოცხადდა. მასში სამტრედიის რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

გამარჯვებულების დაჯილდოვება 26 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. სამტრედიაში ამ მიზნით ჩამოვიდა იმერეთის ბიუროს წარმომადგენელი მარიკა ვაჭარაძე, რომელმაც ესეების კონკურსში მონაწილეებს მადლობის სიგელები, ხოლო გამარჯვებულს, მე-4 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე თამარ ჯინჭველეიშვილს სიგელთან ერთად სამახსოვრო საჩუქარი, გლობუსი გადასცა.

მარიკა ვაჭარაძე სამტრედიელ ახალგაზრდებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ნატოს კვირეულის ფარგლებში მათ მიერ ჩატარებულ აქტივობებზე ესაუბრა.

ჩვენ ვირჩევთ პრეზიდენტს

ლევან გაბეჩავა

პრეზიდენტი სახელმწიფოს _ ქვეყნის პირველი პირი, უმაღლესი ხელისუფალი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია, რომლის მიზანმიმართულ, კონსტიტუციისმიერ მოღვაწეობაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხალხის ყოფა, მომავალი.

რაკი ეს ასეა, ცხადია, საპრეზიდენტო არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა და მის ობიექტურად წარმართვას ძალზე დიდი, ქვეყნისა და ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი (ზვიად გამსახურდია), მეორე (ედუარდ შევარდნაძე), მესამე (მიხეილ საკაშვილი) პრეზიდენტების ბედი, შუქჩრდილები მათი მოღვაწეობისა ცნობილია.

რას იტყვის ისტორია, რას დაწერენ ისტორიკოს-პოლიტოლოგები, როგორ შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში მოქმედი პრეზიდენტის, ბატონი მარგველაშვილის პრეზიდენტობის წლები, ამას მისი სპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ შევიტყობთ.

გავიხსენოთ, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაოცება გამოიწვია თავის დროზე პრეზიდენტად მარგველაშვილის დასახელებამ, ისიც გავიხსენოთ, რომ გვარწმუნებდნენ ამ პოსტზე მისი კანდიდატურის მიზანშეწონილობაში და ისიც, რომ როცა უკვე პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯები, როგორ სწრაფად გახდა იგი კრიტიკის ობიექტი თვით უახლოესი თანაგუნდელებისგანაც კი.

მერე წლების მანძილზე იმაზე იყო დროის ფლანგვა და არაპირდაპირი მნიშვნელობით, თავპირისმტვრევა, ვინ იყო სახელმწიფოს პირველი პირი, პრეზიდენტი თუ პრემიერი, ვინ იყო ქვეყნის პირველი ლედი, პრზიდენტის თუ პრემიერის მეუღლე (ვითომ მეტი მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო გადასაწყვეტი ქვეყანაში), ვინ უნდა წასულიყო საქართველოს სახელმწიფოს სახელით საერთაშორისო პოლიტიკურ სიმპოზიუმებზე და ა. შ.

საბოლოოდ, ქართველურმა არა შენ და არა შენის პოლიტიკამ ქვეყანა თუ არ დაზარალა, არც წინ წაუყვანია პროგრესისაკენ.

ახლა პრეზიდენტის ვეტო (ები) და მისი დაძლევის პროცედურის შემდგომი ვითარება.

ჯერ შედლუხივით გაისმა ქვეყანაში ხმა ვეტოა, ვეტოაო, როცა პრეზიდენტმა პირველად გამოიყენა ვეტოს უფლება, (შედლუხი, წინათ ძოობის აღსანიშნავად თოფის სროლას ეწოდებოდა).

მერე უმეტეს შემთხვევებში პარლამენტში ისეთი აპლოდისმენტებით ეგებებოდნენ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის ფაქტს, თითქოს საშინელი, მაოხარი და ქვეყნის დამაქცევარისგან გაათავისუფლეს ქვეყანა.

არავის ეგონოს პრეზიდენტის პიროვნებას ვიცავდე, ან რაიმენაირი კავშირი მქონდეს მასთან, უბრალოდ იმისი თქმა გვსურს, რომ თუკი კონსტიტუციით რიგ საკითხებში პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულია, ეს იმ ადამიანმა თუ მისმა გარემოცვამ ვისაც იგივე კონსტიტუციითა აქვს მინიჭებული ამ საკითხების გადაჭრის ლეგიტიმურობა დაცინვის საბაბად არ უნდა გამოიყენოს.

ჩვეულებრივი, საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმაა პრეზიდენტის, მონარქის, პრემიერის უფლებების კონსტიტუციის მიერ შეზღუდვები, მაგრამ ეს პროცესი არამც და არამც არაა სასაცილო, დასაცინი, აბუჩად ასაგდები სულაც არაა ის პიროვნება, ვინც გუშინ და გუშინწინ ისევ ჩვენ, ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ავირჩიეთ.

...

როგორც ყოველთვის, პრეზიდენტ მარგველაშვილის მოღვაწეობაშიც არის პოზიტიური და მსჯელობის საგნად ქცეული ფაქტები.

ერთი კი ცხადზე ცხადია, მისი უდიდებულესობა დრო და ისტორია ყველაფერს, როგორც აღვნიშნეთ, ამ წერილის ავტორზე ასჯერ და ათასჯერ უკეთ შეაფასებს, მაგრამ მაინც, თუ რამდენად გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, თუ რა სასიკეთო კონტურები გამოიკვეთა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, თუ რა პერსპექტიული ნაბიჯები გადაიდგა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, უმუშევრობის შესამცირებლად, საზღვარგარეთ წასულ მოქალაქეთა საქართველოში დასაბრუნებლად, პენსიონერთა, ვეტერანთა პირობების გასაუმჯობესებლად, ახალგაზრდობის დასასაქმებლად, ეროვნული მრეწველობის ასაღორძინებლად, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებს გასავითარებლად, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს საერთაშორისო ცნობადობის კიდევ მეტად ასამაღლებლად და ა. შ. საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქებისათვის დღესავით ნათელია.

მცირე ისტორიული ექსკურსი:

არავის ვაკნინებთ, არათუ მთელი რიგი ქვეყნები, კონტინენტებიც კი არ იყო სათანადოდ აღმოჩენილ-შესწავლილი, როცა ქართველებს სახელმწიფო გვქონდა. როცა ქართველ მეფეთა მახვილის წინაშე თავს ხრიდნენ, მუხლს იდრეკდნენ ახლო თუ შორეული დამპყრობლები.

ამდენად, დამოუკიდებლობის აღდგენიდან გასული 27 წელიწადი სავსებით საკმარისი უნდა იყოს, საიმისოდ, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, პარტიებმა თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ღირსეულნი შემოგვთავაზონ პრეზიდენტობის კანდიდატებად, რამეთუ მომავალ საპრეზიდენტო ვადაში ვიყოთ მხილველნი ქვეყნის რეალური აღორძინებისა, გაძლიერებისა, წინსვლისა და არა ახალ-ახალი დაპირისპირებისა.

მაშ ასე, ყოველი დღე გვაახლოებს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენასთან, პრეზიდენტის არჩევნებთან.

"ერთი დღე ჯარში"

ნინო ნანიტაშვილი

რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის ამ სლოგანით 17 და 18 აპრილს ტრენინგი გაიმართა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასულ ჟურნალისტებს ორი დღის განმავლობაში IV მექანიზებულ ბრიგადაში ცხოვრების, სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრის, ფიზიკური აქტივობების განხორციელებისა და ჯარისკაცების მენიუს დაგემოვნების საშუალება ჰქონდათ.

ვაზიანსა და კრწანისში ქართული მედიის წარმომადგენლებმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ცენტრის, ჯეიტეკის როლზე, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებულ ინიციატივებზე, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციები სპეციალურად გამართულ პრეზენტაციებზე მოისმინეს.

ჟურნალისტებს მოხსენებები ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ძირითადი ჯგუფის ლიდერმა, საზღვაო კაპიტანმა შტეფან ანიქოფერმა, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მარიუს ნილსენმა, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის შტაბის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგუამ, ეროვნული გვარდიის ჯი-ხუთის სამსახურის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ირაკლი უჩაძემ და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნინო ბოლქვაძემ წაუკითხეს, ასევე უპასუხეს ჟურნალისტების შეკითხვებს.

სამხედრო ბაზაზე ვიზიტის განმავლობაში ჟურნალისტებისთვის სიმულაციური ცენტრებისა და სამხედრო ტექნიკის დათვალიერებაც საინტერესო აღმოჩნდა.

ნატოს კვირეული საქართველოში მეთერთმეტედ ტარდება. ჟურნალისტებისთვის ტრენინგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა.

წითელი ჯვარი "ლამპარში"

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით ადგილობრივ ფილიალში ახორციელებს პროექტს: "ახალგაზრდობის ჩართულობა აქტიური მოქალაქეობისათვის". პროექტის მიზანია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების კეთილდღეობის ხელშეწყობა, მათი შესაძლებლობების განვითარება, სოციალურ საქმიანობებში ჩართვა.

26 აპრილს პროექტის მონაწილე მოხალისეები ფილიალის თანამშრომლებთან ერთად შშმ ბავშვთა დღის ცენტრ "ლამპარს" ესტუმრნენ. ვიზიტი დაიგეგმა სწჯს სამტრედიის ფილიალის მოხალისეთა ინიციატივით. აქციას ფილიალის აღმასრულებელ მდივანთან _ ნათია პაპავასთან ერთად ორგანიზებას უწევდა ლიდერი მოხალისე მარტინ აკოფიანი.

მოხალისეებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს მუსიკალური ნომრები და ცენტრის აღსაზრდელები ტკბილეულით დაასაჩუქრეს. ბავშვებმა ხალისიანად მიიღეს სტუმრები. შეხვედრამ ძალიან თბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ცენტრის მომსახურებით 15 აღსაზრდელი სარგებლობს. ბავშვები სხვადასხვა აქტივობებში არიან ჩართულები, განსაკუთრებით იტაცებთ არტ თერაპია _ ბამბით სურათების შექმნა.

26 აპრილის აქციაში 18 მოხალისე იღებდა მონაწილეობას. რამდენიმე მათგანი ადრეც იმყოფებოდა ამ ცენტრის აღსაზრდელებთან ფილიალის მიერ დაგეგმილ აქციებზე.

ნათია პაპავა, სწჯს სამტრედიის ფილიალის უფროსი: "სწჯს სამტრედიის ფილიალი კვლავ შეეცდება მხარდაჭერა და თანადგომა გამოხატოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისადმი, რათა დავეხმაროთ მათ კომფორტული გარემოს შექმნაში და ეფექტურად დავძლიოთ არსებული გამოწვევები."

პოლიტიკოსს თავისი პარალელური ეთიკა აქვს

ნათია ნაცვლიშვილი

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა ერთ-ერთ წვეულებაზე, სამტრედიაში მყოფ ექს-პოლიტიკურ სახეს, " ქრისტიან-დემოკრატების" ყოფილ ლიდერს, გიორგი თარგამაძეს.

_ ცნობილი პოლიტიკური სახე, რომელიც კარგა ხანია გაქრა ეკრანიდან, დღეს რას საქმიანობს? რამდენადაც ვიცი, მომავალი ჟურნალისტების აღზრდაზე ხართ ორიენტირებული...

_ ოთხი წელია, რაც პოლიტიკურ საქმიანობას თავი დავანებე, რამდენიმე წელია, ვაგრძელებ (ახლა არ დამიწყია), ყოველთვის მქონდა ურთიერთობა სტუდენტებთან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის უნივერსიტეტში, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ვთანამშრომლობ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან, ჯიპასთან. დავაარსეთ კვლევითი ანალიტიკური საგანმანათლებლო ორგანიზაცია, საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი _ ჯისეკი, მას თავად ვხელმძღვანელობ, ჩემთან ერთად არიან საზოგადოებისათვის ცნობილი ექსპერტები და ანალიტიკოსები.

_ ყოფილი თანაპარტიელები არიან?

_ ამ ორგანიზაციაში ისინი არ არიან, ზოგი მათგანი ჟურნალისტიკაშია, ზოგიც მსხვილი ორგანიზაციების მენეჯმენტშია. ამ ორგანიზაციაში არ არიან, მაგრამ ჩვენ მეგობრები ვართ, ურთიერთობას ვინარჩუნებთ და ბევრ დროს ვატარებთ ერთად. რაც შეეხება ამ ორგანიზაციას, მისი ძირითადი ფუნქცია და ამოცანა კვლევითი, ანალიტიკური საქმიანობაა, ჩვენ ვმუშაობთ და ვქმნით ანალიტიკურ დოკუმენტებს სხვადასხვა სფეროებში არსებულ მდგომარეობაზე.

_ ანუ, მაინც არ ჩამოშორდით პოლიტიკას, ანალიზი და კვლევა ქვეყნის მდგომარეობისა იგივე პოლიტიკური საქმიანობაა...

_ არა, რა თქმა უნდა, ინტერესს საქართველოში პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მიმართ ვინარჩუნებ და არამარტო მე, არ მეგულება საქართველოდან წასული ადამიანიც კი, არათუ აქ მყოფი, ამ ქვეყნის მომავალი და მისი პოლიტიკა არ აინტერესებდეს. ამდენად, ძალიან მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს სხვა ანალიტიკურ ცენტრებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან.

_ ხელისუფლებასთან?

_ მათ შორის სახელისუფლებო ორგანოებთან, როგორც სამთავრობო, ასევე საპარლამენტო სტრუქტურებთან. პრეზიდენტის ეროვნული უშიშროების საბჭოსთან, ეს ურთიერთობები ძალიან საინტერესოდ ვითარდება. მეორე და ძირითადი მიმართულება ასევე არის საგანმანათლებლო, ეს პირადად ჩემთვის ორმაგად საინტერესო და საყვარელია.

_ ჟურნალისტიკაში უკითხავთ ლექციებს სტუდენტებს?

_ არა მარტო. ჩვენი ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს კანტის აკადემია, ის უფროსკლასელებს აძლევს სხვადასხვა მიმართულებით ცოდნას და უნარ-ჩვევებს, ასევე სტუდენტებისათვის _ ბაკალავრებისათვის და მაგისტრანტებისათვის განკუთვნილია პროგრამა 3D აკადემიის სახელწოდებით, ასევე, დასაქმებული ადამიანებისათვის, რომლებიც სხვადასხვა სახელისუფლებო, საჯარო სტრუქტურებში მუშაობენ, ბიზნესსა და მედიაში, პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანებისათვის მოქმედებს ერთწლიანი გრძელვადიანი სასწავლო კურსი, რომელიც ასწავლის ლიდერობას, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით დამატებით ცოდნას იძლევა.

_ ფაქტობრივად, ბევრად მშვიდად გრძნობთ თავს, ვიდრე პოლიტიკურ რეალიებში, მახსოვს, ერთხელ ტელეეთერში განაცხადეთ, რომ ზნეობა პოლიტიკაში სადღაც პერიფერიაშია... ასე ფიქრობდით და ამიტომაც განერიდეთ პოლიტიკას, თუ მცდარ აზრზე იდექით მაშინ?

_ ასე მკაცრად არ შევაფასებდი დღევანდელ ქართულ პოლიტიკას ან, თუნდაც, პოლიტიკაში მყოფ ადამიანებს, უბრალოდ, პოლიტიკას პარალელური ეთიკა აქვს. თავისთავად ცხადია, მაგალითისათვის ვამბობ, საეკლესიო მოღვაწეს და პოლიტიკოსს არ შეიძლება ერთნაირი მოქმედების არეალი და ეთიკა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, არის ჩვენთვის საერთო მნიშვნელოვანი ღირებულებები და პრინციპები, რის გამოც ადამიანი არის პოლიტიკაში, რის გამოც შენს ქვეყანას რაიმე გინდა არგო, ამას ბევრი სტრესი და პრობლემა მოყვება სიძნელეებით დახუნძლულ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო. ამიტომ, ამ თვალსაზრისით თუ მეკითხებით, რა თქმა უნდა, მშვიდად ვარ, შედარებით იმ პერიოდთან, რომელიც იყო პოლიტიკაში. თუმცა იმდენად ხშირად მიწევს შეხვედრა სტუდენტებთან, რომლებიც არიან დაინტერესებული

პოლიტიკით, რომ მოსაწყენად არ მაქვს საქმე.

_ დავუბრუნდეთ მშობლიური სოფლის, ნიგორზღვის თემას და თქვენს ფესვებს, რამდენიმე წლის წინ "ქრისტიან-დემოკრატების" გუნდს შესანიშნავად უმასპინძლეს თქვენმა ნიგორზღველმა ნათესავებმა...

_ ფესვები მაქვს იქიდან. სახლი, კარი იქ ჩვენ აღარ გვაქვს, მერამდენე თაობაა, რაც წამოსულნი არიან ჩემი წინაპრები, ბავშვობაში არაერთი კვირა მაქვს გატარებული, ამ ლამაზ სოფელთან მჭიდრო კავშირი არ გვაქვს, მაგრამ უამრავი მოგონება მაკავშირებს, ზოგადად, ქართული სოფელი მიყვარს ძალიან...

_ რომელიც დღითიდღე ცარიელდება და ნიგორზღვის სკოლის მთელი კონტინგენტი 17 ბავშვია...

_ ეს სამწუხარო ტენდენციაა, რომლის შეჩერება ძალიან რთულია, ძალიან, ნიგორზღვას ჩემთვის თავისი პეწი აქვს. საოცარი გარემოა...

_ როდესმე რაიმე შანსი თუ გაგჩენიათ, დახმარებოდით თქვენს სოფელს...

_ როცა პოლიტიკაში ვიყავი, თუნდაც, ჟურნალისტიკაში აქტიურად, ვისაც ახსოვს ჩემი ჟურნალისტიკაში ყოფნა, დამეთანხმება, რომ ქართული სოფლის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის არაერთი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული, სოფლის თემატიკა და რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ბედი აქტუალური სწორედ ჩვენი აქტივობით გახდა, სოფლის მიმართ სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბება დღესაც არის პრობლემა და მჯერა, მომავალი თაობა ამას უკეთესად მოახერხებს.

თავის უფალი მედია

"არაფერია თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე ძვირფასი". დიდი ხანია არავინ დავობს რაბინდრანათ თაგორის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაზე.

ოცდამეერთე საუკუნეში განსაკუთრებით გააქტიურდა ძალისხმევა მედიასაშუალებების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

3 მაისს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე აღინიშნება და, როგორც პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ სახელმწიფოში, საქართველოშიც აღნიშნავენ ამ თარიღს.

64-ე ადგილიდან 61-ე ადგილი (ასი ადგილიდან) _ ასეთია ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევის შედეგები, ციფრები კი საქართველოში პრესის თავისუფლების ხარისხის მაჩვენებელია.

100 ადგილიდან 61-ე ადგილი არცთუ პრესტიჟულია, თუმცა სამპუნქტიანი წინსვლაც პოზიტივის მანიშნებელია.

მისასალმებელია თავისუფლება მედიისათვის, მაგრამ აუცილებელია, ზღვარი არსებობდეს თავისუფლებასა და უსამართლობას შორის, ტენდენციურობას შორის, ერთიც გასათვალისწინებელია უთუოდ, თუ წინათ ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება მედიასაშუალებების კრიტიკულ-ობიექტურ შენიშვნებზე, ამჯერად, მართალია, არის თავისუფლება, თუმცა დაბალია მყისიერი რეაგირების მაჩვენებელი.

რაკი სიმართლეზე კარგი არაფერია, საზღვარგარეთელ მოაზროვნეთა მიმართ ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მაინც ჩვენი წმინდანის ილია მართლის (ჭავჭავაძის) სიბრძნით უნდა ვისაზრდოოთ და მართალი სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში.

ლევან გაბიჩავა

მოგზაური ველოსიპედების დედაქალაქში

თეა ბაბუნაშვილი

მათ, ვისაც მუნიციპალიტეტის გამგეობის წინ შეჩერებული დიდ ჯიხაიშელი ჯუმბერ ლეჟავა ახსოვს, ემახსოვრება ისიც, რომ ამ ამბის შემდეგ წლები გავიდა. მან რეკორდი დაამყარა, მსოფლიო რეკორდი! სამწუხაროდ, დღეს რეკორდსმენი აღარ არის, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, რეკორდი დარჩა!

რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი მოგზაური შეჩერდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობასთან. იგი ნოდარ ბერიძე აღმოჩნდა, ჯუმბერ ლეჟავას ყოფილი პროდიუსერი. თავად აღიარა, რომ რეკორდსმენობის პოტენციალი არ აქვს, მაგრამ მოყვარულ ველოსიპედისტს საკუთარი სათქმელის ამგვარი არაორდინალურობით თქმის სურვილი მაინც გაუჩნდა.

"გაგვიმხილა", რომ ველოსიპედზე დიდ მანძილზე პირველად 2014 წელს დაჯდა. მერე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ინიცირებული პროექტის, "ველოტური მშვიდობის გზა" განხორციელება საქართველოდან ევრაზიის კონტინენტის მოვლით გადაწყვიტა. მარშრუტი 21 სექტემბერს გაეროს მშვიდობის დღეს დასრულდება. იგი 50 ათას კილომეტრს მოიცავს ევრაზიის კონტინენტზე. ჯუმბერ ლეჟავას გზის გამგრძელებელ ნუგზარ ბერიძეს სულაც არ აქვს რეკორდსმენობის ამბიცია: "მის გზას პატრიარქის კურთხევით ვაგრძელებ. ჯუმბერ ლეჟავამ 50 წლის ასაკში აზიდვებში დადო ის შედეგი, რაც დადო. ძნელად დასაჯერებელია, რომ ამგვარი რამ მოკლე ხანში განმეორდეს. 9 წელი და თვენახევარი იმოგზაურა მან დედამიწის გარშემო. 70 კილო მარტო ტვირთი ჰქონდა ველოსიპედზე. ის სწავლული ექსტრემალი გახლდათ, მე მოყვარული ვარ." ამჯერად სამტრედიიდან, სადაც მას მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მისი მოადგილე კობა ძიძიგური, მერის მოადგილე დავით ბახტაძე და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე შეხვდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებთან ერთად, ვანსა და ბაღდადში ჩასვლას გეგმავდა. ამ ეტაპზე მოგზაურს 25 ათასი კილომეტრი აქვს გავლილი. მან ვლადივოსტოკიდან ლისაბონამდე, შემდეგ მადრიდიდან სტამბულამდე 21 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა. თურქეთიდან ახალციხის გავლით საქართველოში შემოვიდა და 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავზე თბილისში შესვლას გეგმავს. "ქართველები მაქსიმალისტები ვართ. ამ პროექტში ჩართულობა მხოლოდ ყურადღებით უნდა გამოვხატოთ. მე არ მყავს სპონსორი, ჩემი და ჩემი სამეგობროს ხარჯზე ვახორციელებ ტურნეს, მაგრამ იმედი მაქვს, დიდი ბრენდები და კომპანიები დაინტერესდებიან ამ პროექტით. საქართველოს დროშით ვმოგზაურობ და ხელგაწვდილი ვერ ვიქნები. დღეს განსაკუთრებით მიხარია ამ ქალაქში ყოფნა, სამტრედია ხომ ველოსიპედების დედაქალაქია! მოხარული ვიქნები, ხელს თუ შევუწყობ ველოსპორტის პოპულარიზაციას საქართველოში. ეს ფრიად საჭირო და ჯანსაღი სახეობაა სპორტისა." _ აღნიშნა მან.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები დღის 10 საათზე მერიის წინ ველოსიპედით შეჩერებულ სტუმარს გულთბილად შეხვდნენ და ყველა საჭირო დახმარება გაუწიეს.

ჩვენ დავამარცხეთ ფაშიზმი

ლევან გაბეჩავა

ბევრნი, ბევრნი იყვნენ ისინი. ჩემს თაობას ბავშვობისას გვასწავლიდნენ, გვმოძღვრავდნენ, გვიყვებოდნენ იმ ავადსახსენებელ დღეებსა და წლებზე, როცა წალეკვით ემუქრებოდა მსოფლიოს ფაშიზმი.

700 000 კაცი წავიდა მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან, 300 000-მა ბრძოლის ველზე ჰპოვა სამარადჟამო განსასვენებელი.

იბრძოდნენ, იხოცებოდნენ, მაგრამ მტერს არ ნებდებოდნენ.

მნიშვნელოვანია სამტრედიელთა წვლილი მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დასრულების საქმეში.

9 მაისს 73 წელი სრულდება იმ ისტორიული დღიდან, როცა რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ რაიხსტაგზე გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალეს.

მეხსიერებას შემორჩა 9 მაისობა სამტრედიის ქუჩებში. სტალინის სურათებითა და ომისდროინდელი ლოზუნგებით გაფორმებული "ზაპოროჟეცის" მარკის მანქანა, რომლის სალონიდანაც ომახიანად ისმოდა ცნობილი დიქტორ ლევიტანის ომახიანი ხმა და საბრძოლო სიმღერები. ომგადახდილი სამტრედიელი ვაჟკაცი, ჩვენი გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი შოთა ამბერკის ძე ტაბიძე გახლდათ ამ ლამაზი და დაუვიწყარი სანახაობის ავტორი.

დაუვიწყარია ომის ვეტერანთა კოლონები ქალაქის შუაგულში, შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლთან რომ იკრიბებოდნენ და ერთმანეთს ომის მრისხანე ეპიზოდებს ახსენებდნენ.

ბევრნი, ბევრნი იყვნენ ისინი: აკაკი ჯამბურია, აკაკი ხუჭუა, მიხეილ რამინაშვილი, ევგენი ჯიქიძე, ევტიხი ლეჟავა, გალაქტიონ გელაზონია, დავით კაჭახიძე, ვალიკო, მელიტონ დევიძეები, აკაკი კოხრეიძე, მიხეილ თევზაძე, გიორგი კვანტალიანი, შოთა ხუჭუა, ტარას უჯმაჯურიძე, ვახტანგ სტურუა, ოთარ ნაფეტვარიძე, ოთარ გეფერიძე, დავით ჩხაიძე, მიხეილ ნამიჩეიშვილი, ალექსანდრე გეგუჩაძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, ვახტანგ ასათიანი, ნორა გიორგაძე, ვერა თევზაძე... დღეს ისინი არ არიან ამქვეყნად, წავიდნენ ვალმოხდილნი, უზომოდ ვალმოხდილები სამშობლოს, ერის, თაობების წინაშე.

უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ლამის, მოღალატეებად შერაცხეს, აქაოდა, ვის ომში, რომელი სამშობლოსათვის იბრძოდითო!

ისინი იბრძოდნენ ჩვენი და ჩვენი მომდევნო თაობების ბედნიერებისთვის, თავისუფლებისთვის, მშვიდობისათვის."

თაობებს აღაფრთოვანებს ზოია რუხაძის, შოთა გამცემლიძის, ვახტანგ ჩიქოვანის, სამუელ მოძღვრიშვილის, ელიზბარ უბილავას, გიორგი ნაფეტვარიძის საბრძოლო გმირობისა და თავგანწირვის ეპიზოდები.

ქართული მწერლობა უხვადაა გაჯერებული მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებებით, სულის სიღრმემდე რომ შესძრავს მათი წაკითხვა საღად მოაზროვნე ყველა ადამიანს.

სამწუხაროა, რომ, გასაგები მიზეზების გამო, ძალზე შემცირდა ომის ვეტერანთა რიგები.

ამჟამად სამტრედიის მუნიციპალიტეტში მეორე მსოფლიო ომის რამდენიმე მონაწილეა სახეზე.

ხელისუფალნი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. თუმცა, აშკარად მეტს რომ იმსახურებენ ეს ადამიანები, სადავო არ უნდა იყოს.

მოდის 9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე.

მოწიწებით ვხრით თავს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ნათელი ხსოვნის წინაშე.

გულწრფელი მადლობა საუკუნეს მიტანებულ იმ ადამიანებს, ომის ვეტერანებს, რომლებიც სამშობლოს პირველსავე დაძახილზე ხელში იარაღით დადგნენ მშვიდობის სადარაჯოზე და მტერს უკანასკნელ ბუნაგამდე, გამარჯვებამდე სდია.

და მართლაც, არავინაა დავიწყებული, არაფერია დავიწყებული...

ფესვები

დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო კომისარი

რუბრიკა "ფესვები", რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება, გრძელდება. ამჯერად საუბარი ჩვენს სახელოვან თანამემამულეზე გვექნება, მნიშვნელოვანი წვლილი რომ შეიტანა დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში, დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წელი) შემდეგ.

თორნიკე მიხეილის ძე პაპავა 1933 წელს სამტრედიაში დაიბადა, სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის 8 კლასის შემდეგ თბილისის საარტილერიო სასწავლებელი დაამთავრა და განაწილებით მუშაობა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში დაიწყო.

რამდენიმე წლის შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში გადაიყვანეს.

1961 წლიდან ბატონი თორნიკე საქართველოს სამხედრო კომისარიატში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობს. პასუხსაგები თანამდებობები ეკავა აგრეთვე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქშიც.

პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტისა და სახმელეთო ჯარების მეთაურთა უმაღლესი კურსების წარჩინებით კურსდამთავრებული, მთელი მონდომებით იღვწის ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხედრო კომისრის თანამდებობაზე ყოფნისას მიენიჭა მას პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, (1991 წელი) პოლკოვნიკი თორნიკე პაპავა აქტიურად, მთელი მონდომებით ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული არმიის ფორმირების საშვილიშვილო საქმეში.

აღსანიშნავია მისი ძალისხმევა ეროვნული არმიის კონცეფციის და დოქტრინის შემუშავებაში.

ბატონი თორნიკე გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო კომისარი. ამ მეტად პასუხსაგებ თანამდებობაზე შესანიშნავად გამოვლინდა მისი ნიჭი, უნარი, შესაძლებლობები. აქტიურად მონაწილეობდა ერთიანი საქართველოსათვის წარმოებულ ოპერაციებში.

სისადავე და უბრალოება, საოცარი პასუხისმგებლობა, ჰუმანურობა და პრინციპულობა ბევრისგან გამოარჩევდა მის პიროვნებას.

პაპავათა ღირსეული გვარის წარმომადგენელს მთელი სიცოცხლის მანძილზე კავშირი არ გაუწყვეტია მშობლიურ რაიონთან, სამტრედიელებთან.

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი, მედალი "მხედრული მამაცობისათვის", ათზე მეტი სხვა მედალი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები. აი, არასრული ჩამონათვალი იმ ჯილდოებისა, რომლითაც სამშობლომ აღნიშნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო კომისრის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე.

30 აპრილს ქართული არმიის დღე აღინიშნება, ამ მოვლენის გამოც გავიხსენეთ კიდევ ერთი დამაშვრალი სამტრედიელი, კაცი ბოლომდე რომ დაიხარჯა საქართველოსთვის, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ეროვნული არმიის სრულყოფისათვის.

ლევან გაბეჩავა

"ბოშები" მე-15 საჯარო სკოლაში

ნინო ნანიტაშვილი

მე-15 საჯარო სკოლაში სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. სააღმზრდელო პროგრამების კოორდინატორმა ლალი დოლიძემ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების, "ბოშების" მიხედვით დადგა პიესა, რომელშიც მონაწილეობას მე-15 საჯარო სკოლის პედაგოგი და აღმზრდელები, იღებდნენ ასევე, ქუთაისის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები. სპექტაკლში სულ 14 პერსონაჟი იყო დაკავებული, თუმცა, ყველა მათგანი ისე მონდომებულად თამაშობდა როლს, მაყურებლისათვის ძნელი მისახვედრი იყო, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებს არაპროფესიონალები თუ ასახიერებდნენ.

პიესის დადგმის იდეა ძირითადად ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების სიყვარულმა განაპირობა. მე-15 საჯარო სკოლის მოსწავლეები კითხულობენ მწერლის მცირე ზომის მოთხრობებს, რომლის დროსაც გაუჩნდათ კითხვები და იქვე სურვილი, ნოდარ დუმბაძის რომელიმე ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლი დაედგათ.

ვინაიდან "ბოშებში" ბევრი პერსონაჟი იყო, ასევე ცეცხლოვანი ცეკვები, იუმორი, სიკეთის ელემენტები, იმედი, პედაგოგ-აღმზრდელებთან ერთად მოსწავლეებმა სწორედ ეს ნაწარმოები აირჩიეს.

სპექტაკლის მომზადებას 45 დღე დასჭირდა. ამ დროში მოხერხდა ყველა იმ რეკვიზიტის დამზადება, რომელიც სცენის დეკორაციას ჰქმნიდა და სპექტაკლს უფრო მიმზიდველს და შინაარსიანს ხდიდა. აუცილებლად აღსანიშნავია ის, რომ სცენის დეკორაციები მე-15 საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა მთავარ აღმზრდელ ხათუნა სანადირაძესთან ერთად შექმნეს: ძროხა, ორი გოჭი, თხა, ქათმები, ინდაური და ბატი _ ესენი იყო ბოშების მიერ მოპარული შინაური ცხოველები და ფრინველები. სწორედ მათი ქურდობის ფაქტზე დაჭერილ ბოშებს ზენობნის გლეხობა ესარჩლება და პოლიციელის დარწმუნებას ცდილობს, თითქოს და ისინი მკითხაობასა და კარგ ამბებში გაუცვალეს.

ერთმოქმედებიანი სპექტაკლი მაყურებელმა დიდი ოვაციებით მიიღო. დარბაზში იმყოფებოდნენ რაიონული პროკურატურის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები. რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ მაღალი შეფასება მისცა მე-15 საჯარო სკოლის პედაგოგ-აღმზრდელებისა და აღსაზრდელების ერთობლივ ნამუშევარს. სპექტაკლი მოიწონეს რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზაძემ, ქუთაისის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის ხელმძღვანელმა ნანა იდაძემ. ქალბატონმა ნანამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ "ბოშებს" ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის მცირე სცენაზე უჩვენებს.

სპექტაკლის მთავარი მიზანი გახლდათ საზოგადოებაში უმცირესობათა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების მსხვრევა და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მხარდაჭერა.

მაღლობა "სამტრედიის მაცნესთვის!"

თეა ბაბუნაშვილი

ახლა ის წლები უნდა გავიხსენო, "სამტრედიის მაცნეს" რედაქციის "ოქროს ხანას" რომ დავარქმევდი. ის დრო ჩემს ცხოვრებაშიც ოქროს ხანა იყო, რადგან პირველად დავაკაკუნე სტუდენტობით ასრულებული ბავშვობის ოცნების კარზე. ჯერ ისევ პრაქტიკანტი "სამტრედიის მაცნეს" რედაქციის კიბეს ავუყევი. პირველკურსელი ვიყავი, ფრთხილად მოსაუბრე, შემკრთალი ვოგონა. ვინც დღეს მიცნობს, გაუჭირდება ამის დაჯერება, მაგრამ მას მერე 25-მა წელმა შემომაბერა სამტრედიულ ჟურნალისტიკას. საკუთარ თავზე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ საუბარს, მაგრამ უამისოდაც არ გამოდის, რადგან საკუთარი თავი ამ ქალაქში სწორედ ამ გაზეთმა მაპოვნინა და დამამკვიდრებია.

ბუნებრივია, მხოლოდ დასახელება "სამტრედიის მაცნე" ბევრს ვერაფერს იტყვის და იტყოდა, რომ არა ის ადამიანები, ვინც მას ქმნიდნენ. ქმნიდნენ უბრალოდ ნათქვამია, სულაც არ არის გადაჭარბება, თუ ამ სიტყვის "მაცნესეული" განმარტებისთვის ვიტყვი, ქმნიდნენ "სამტრედიის მაცნეს" შემოხვევაში ნიშნავს, ყველა ასოს, ბგერას, სიტყვას სულს უდგამდნენ და ამ გაზეთის სუნთქვას დარაჯობდნენ. საკუთარი საქმის პროფესიონალებს არ სჭირდება ახსნა, რომ არჩეული პროფესიის დედასავით, შვილივით, ოჯახის წევრივით შეყვარებაა პროფესიონალიზმი. "სამტრედიის მაცნე" პროფესიონალების თავშეყრის ადგილი იყო. თუმცა არა მხოლოდ პროფესიონალების, ერუდირებული, ინტელექტით სავსე კულტურული ადამიანების ერთობლიობა გახლდათ და იქ არავის აკვირვებდა პოპულარობა, არავინ იჯდა მხოლოდ გავლენის ან ანაზღაურებისთვის, თუმცა, ამის ნაკლებობა არასდროს ჰქონია არც ერთ მათგანს.



ასეთი და მსგავსი შეფასებები ხშირად გვქონია "მაცნეელებს" ჩვენს წინამორბედებზე და ბედნიერი ვარ, იმ ადამიანების გვერდით რომ მომიწია არაერთი წლის გატარება, ამგვარ შეფასებებზე ნაკლებს რომ ვერ მოარგებ.

ჩვენი ორი იუბილარი, იმ ბირთვის ნაწილი იყვნენ, ვისი ღირსებებით და ღირებულებებითაც ძლიერი გახლდათ 90 წელს მიღწეული გაზეთი.

90 წლის იუბილე უნდა მივულოცო ადამიანს, რედაქტორმა ჯერ ისევ პრაქტიკანტ სტუდენტს რომ დაუნიშნა ხელმძღვანელად. ოთახის კარზე ჩემს ფრთხილად დაკაკუნებას "მობრძანდით" მოჰყვა. მაგიდას საშუალო ტანის მამაკაცი ეჯდა. გულთბილად მიმიღო. მერე, მერე პირველი წერილი იყო, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ მოვიძიე და ... გამაწითლა! ისეთი ახლა რომ მოეტანა ჩემს რომელიმე პრაქტიკანტს, ვეტყოდი, პროფესია შეიცვალე-თქო. ბატონმა კორნელი ჩიხლაძემ ასე არ მითხრა მაშინ. ახლა მივხვდი, რა მოთმინებით ჩასულა ბოლომდე და ყოველგვარი სიმკაცრის გარეშე რამდენიმე შენიშვნა რჩევასავით მომცა. პირველს სხვებიც მოჰყვა. მერე, ნელ-ნელა მოსული ჟურნალისტური პირდაპირობისას "ახალგაზრდა ხარ და ფრთხილად!" მამაშვილური დარიგებასავით მესმოდა მისგან, თუმცა, იქვე ყოველთვის მოაყოლებდა, "მთავარია, მართალი და სუფთა იყო!" უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კოლეგები გაგვხადა დრომ, ერთ ოთახში ვისხედით, ერთმანეთის პირისპირ და ყოველ სამუშაო დღეს გაკვეთილები მიტარდებოდა კულტურული მამაკაცისგან, პროფესიონალისგან _ იყო ჟურნალისტი ნიშნავს ... ! და მანამ, სანამ ცოცხალი ვარ, ყველაზე დიდი კომპლიმენტი, შექება, იმის დაფასება, თუ ოდესმე თუნდაც ერთი ღირებული აბზაცი დამიწერია, ჩემთვის ბატონი კორნელის, როგორც ვეძახდით "ივანიჩის" პატარა მეგობრული შარჟი დარჩება, გაზეთი 70 წლის იუბილეზე რომ მისახსოვრა. მადლობა მას იმ სიტყვებისთვის!

რომან ბექაია დედაჩემის მეგობარი გახლდათ. ბაბუნაშვილი მუხიანიდან _ იას გოგო ხარ? _ ასე გავიცანით ერთმანეთი. მერე მეგობრობა მოვიდა უფროს-უმცროსობის თანხვედრით. მისი ოთახი მყუდროდ ჩაბნელებული და საოცრებებით სავსე გახლდათ. იქ "ჩიტი გამოფრინდებოდა" ხოლმე. ახლა არც ის ოთახია და ბატონი რომანიც რედაქციის უკვე ყოფილი თანამშრომელია, მაგრამ ... აპარატის ჩხაკუნი... და მისი ნაღვაწი ფოტოსურათებად, ფოტოკადრებად ინახავს სამტრედიის მატიანეს. თავად რომან ბექაიაც სამტრედიის ცოცხალი მატიანეა უკვე, 80 წლისა გახდა შუქით წერის ოსტატი!

და ჩემი დიდი გულისტკივილი _ ისე ვერ მოვუარეთ, ვერ შევინახეთ ფოტოარქივი, როგორც საჭიროა. თავის მართლებას არ მოვყვები, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, პრობლემა არც გახდებოდა!

მას შემდეგ ბევრი რამ და ბევრი ვინმე შეიცვალა "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში. ძველი შემადგენლობიდან სამნი დავრჩით. თითქოს არსად გამქრალა, მაგრამ სხვანაირი სუსხი შეეპარა სითბოს და უბრალოებას, აქ რომ დამხვდა. დრომ მოიტანაო, ამბობენ და როგორც ხდება ხოლმე, ყველაზე ადვილია ყველაფერი ცუდი დროს დავაბრალოთ. ჩვენ, "ძველი გვარდიიდან" დარჩენილები დღემდე ვცდილობთ ძველი დიდების ნაშთი არ გავაქროთ და იმ ადამიანების სითბო ახლებს გავუნაწილოთ, რადგან გვახსოვს ვის გვერდით გავიზარდეთ ჟურნალისტებად, ჩამოვყალიბდით ადამიანებად. უფლება არ გვაქვს იმის დავიწყების რაც იყო და მათი დავიწყების, ვინც იყვნენ! რადგან წერილი საიუბილეოა, არაფერს ვამბობ იმ ადამიანებზე, დღეს რომ აღარ არიან, მაგრამ გაუხუნარ ფერებად, სახეებად შემორჩნენ მეხსიერებას.

კორნელი ჩიხლაძე და რომან ბექაია გუშინდელი "სამტრედიის მაცნეა"! მაგრამ მაინც, დღე იშვიათად გავა, არ ვახსენოთ ისინი, არა მხოლოდ მოგონებისთვის, საქმეს სჭირდება და იმიტომ! დიახ, არიან ადამიანები, ვისი ხელწერაც წარუშლელია. ეს ორი, მათ თანამედროვეებთან ერთად, დღემდე სჭირდება ჩვენს რედაქციას, რადგან არაერთხელ წაგვდგომია მათი გამოცდილება.

ვულოცავ ორთავეს საიუბილეო თარიღს, მინდა, დიდხანს იყვნენ! მადლობა ბევრი რამისთვის, კეთილგანწყობისთვის, დარიგებისთვის, სწავლებისთვის, მადლობა იმისთვის, რომ არსებობენ და მადლობა "სამტრედიის მაცნესთვის!"

რომან ბექაია 80 წლისაა

დიახ, 80 წლისა შესრულდა ჩვენი უფროსი კოლეგა და მეგობარი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, სამტრედიის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი რომან ბექაია.

ლამის, ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუშაობდა იგი გაზეთ "წინსვლას", შემდეგ კი "სამტრედიის მაცნეს" რედაქციის ფოტოკორესპონდენტად.

ათასობით უიშვიათესი, დღეს უკვე ისტორიული მნიშვნელობის ფოტო აქვს ბატონ რომანს გადაღებული ამ წლების მანძილზე.

თავისი საქმის ჩინებული მცოდნე, ხალისიანი, საიმედო კოლეგა და მეგობარი გასული საუკუნის მიწურულს ქვეყანაში განვითარებული ურთულესი ეკონომიკური და კრიმინოგენური ვითარებისას, სამტრედიიდან ქუთაისისაკენ და პირიქით, თვეში ორჯერ დადიოდა, მიჰქონდა საგაზეთო მასალები და იქიდან, ქუთაისიდან უკვე დაბეჭდილი გაზეთებით ბრუნდებოდა სამტრედიაში. მიუხედავად იმისა, რომ საათობით უწევდა (დენის ხშირი გათიშვის გამო) სამტრედია-ქუთაისის მატარებელში ჯდომა, ერთხელაც არ დაუწუწუნია. უნდა ითქვას, რომ მაშინ რედაქციის თითოეული წევრი პროფესიისადმი, საკუთარი მოვალეობისადმი საოცარი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების მაგალითს უჩვენებდა, აი, ამიტომ გადარჩა გაზეთი და კიდევ კეთილ ადამიანთა თანადგომით, როგორც მორალურით, ისე ფინანსურით.

რედაქციის პარალელურად ჯერ ქალაქის №1, ხოლო შემდეგ №3 სკოლაშიც მუშაობდა ბატონი რომანი.

ღირსეული მეუღლე, სახელოვანი შვილები, შვილიშვილები ულამაზებენ ხანდაზმულობის წლებს ჩვენს კოლეგას.

რაიონის საზოგადოებას შეუმჩნეველი არ დარჩენია რომან ბექაიას დამსახურება. 5 წლის წინ გრანდიოზულად აღინიშნა მისი დაბადების 75-ე წლისთავი, მიენიჭა სამტრედიის საპატიო მოქალაქის წოდება.

სოლიდური ასაკია 80 წელი.

ამაყად შეუძლია წარსულით მოიწონოს თავი ბატონმა რომანმა.

მხოლოდ ის რად ღირს, ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მოღვაწეობისას, ასობით ახალგაზრდას რომ მოძღვრავდა, კაცურკაცობის, უფროს-უმცროსობისა და პატრიოტიზმის გრძნობებს რომ უნერგავდა. ხანგრძლივ სიცოცხლეს, მშვიდ ხანდაზმულობის წლებს გისურვებთ, ჩემო უფროსო კოლეგავ.

პატივისცემით ლევან გაბეჩავა

ქველმოქმედი გენერალი

ლევან გაბეჩავა

ურთულესი კრიმინოგენური ვითარება, მოშლილია ეკონომიკა. ერთმანეთის მიყოლებით ჩერდებიან ფაბრიკები, ქარხნები. უჭირს ყველას, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების დიდ ნაწილს. აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა "სამტრედიის მაცნეს" შემდგომი არსებობის საკითხი, უმუშევრად დარჩენა გვემუქრებოდა რედაქციის თანამშრომლებსაც.

და აი, ამ დროს ჩვენმა უფროსმა კოლეგამ, მაშინ რედაქციის ეკონომიკის განყოფილების გამგემ, ბატონმა ოთარ ნაფეტვარიძემ დახმარებისათვის მიმართა მის თანასოფლელსა და სიყრმის მეგობარს, საინჟინრო და ბიზნესის აკადემიების წევრს, ფირმა "საიმედოს" პრეზიდენტს, თადარიგის გენერალს, ბაშელ კაცს, ბატონ გიორგი ივანეს ძე ხაზარაძეს. ბატონმა გიორგიმ და ფირმა "საიმედომ" შეფობა აიღეს გაზეთსა და რედაქციაზე. საქველმოქმედო თანხით ხდებოდა გაზეთის გამოცემაც და რედაქციის მუშაკთა ხელფასებით უზრუნველყოფაც კი. მართალია, გაზეთს სხვა კეთილი ადამიანებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ბატონი გიორგი გაზეთსა და რედაქციას მანამ შეფობდა, ვიდრე დახურვის საფრთხე არ მოიხსნა, ვიდრე გაზეთი ფინანსურად არ მოძლიერდა.

დაუვიწყარია ის წლები იმ ადამიანებისათვის, ვინც მაშინ ვმუშაობდით რედაქციაში.

სახელოვანი ბიოგრაფია აქვს ბატონ გიორგი ხაზარაძეს. ბაშელი კაცი ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ცენტრალურ უწყებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, გენერალი გიორგი ხაზარაძე მხოლოდ რაიონულ გაზეთს როდი შეფობდა, მისი ძალისხმევით არა ერთი და ორი კეთილი საქმე გაკეთდა არა მარტო მის მშობლიურ ბაშში, არამედ, ზოგადად, სამტრედიის რაიონში.

ძვალსა და რბილში აქვს ბატონ გიორგის გამჯდარი მოყვასის სიყვარულის, ურთიერთთანადგომის, ურთიერთსიყვარულის თვისებები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თუ დღეს "სამტრედიის მაცნე" განაგრძობს არსებობას, თუ დღეს კანონიერად ვიწონებთ თავს წარსულით, ლომის წილია ამაში იმ ადამიანებისა, გასაჭირში რომ გვერდით გვიდგნენ, კიდევ უფრო დიდი და დაუვიწყარია ბატონი გიორგის დამსახურება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

93 წლისა ხდება ამ დღეებში ჩვენი რაიონის ღირსეული შვილი, ქართველ გენერალთა კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ბატონი გიორგი ივანეს ძე ხაზარაძე.

ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მას მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად.

გმადლობთ, გენერალო!

ამდენი წიგნის გაჩუქება კარგი ჟესტია

ქეთევან ჭელიძე

როგორც იტყვიან, სიტყვას უკან წაიღებს, ვისაც ახალი თაობის წიგნიერებაში ეჭვი შეაქვს. რა თქმა უნდა, იმ და სხვა მისთანა შეკრებების ნახვის შემდეგ, სხვაგვარი მოსაზრება ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებსაც არ გაუჩნდებათ. კითხვები, რომლებიც თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებებიდან იყო დასმული, უპასუხოდ არ დარჩენილა.

წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ "კომპიუტერს მიჯაჭვული" ახალგაზრდები, თორემ, კითხულობენ კიდეც და განათლებულობის პრეტენზიაც აქვთ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურულად კი განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ამ დღის განსხვავებული ფორმით აღნიშვნამ ამაში კიდევ უფრო დაგვარწმუნა.

"წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს განსაკუთრებული, განსხვავებული ფორმით აღვნიშნავთ. ტარდება ლექცია და შემდეგ მერიის მიერ შესყიდულ, გარკვეული რაოდენობის წიგნებს აუდიტორიაში ვათამაშებთ. შესაბამისად, სამტრედიის მერია დიდი რაოდენობით აჩუქებს წიგნებს. მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს, რაც ძალიან დასაფასებელია. ჩემი აზრით, ამდენი წიგნის გაჩუქება კარგი ჟესტია. ამჯერად ასამდე წიგნი გაიცა. კითხვები ეხებოდა ავტორს, წიგნის სათაურს და შინაარსს." _ გვიხსნის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ლაშა ლორია.

წიგნის სურნელი ტრიალებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სადაც სხვადასხვა საჯარო სკოლიდან მოსწავლეებს მრავლად მოეყარათ თავი. გულგრილს არავის ტოვებდა იქვე გამოფენილი პირველი საჯარო სკოლის მესამე კლასელთა მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები. დიდხანს აგროვებდნენ წიგნის, გაზეთებისა თუ ჟურნალების ფურცლებს, რომ მათ მასწავლებელს, ნონა ჯინჭარაძეს, თავისი იდეა განეხორციელებინა. იმ ფურცლებიდან ბევრი საინტერესო რამ შეიქმნა. გოგო-ბიჭებმაც ქაღალდის "სამოსი" მოირგეს და ღონისძიების დასაწყისში მხატვრული კომპოზიციით წარსდგნენ.

ტრადიციისამებრ, ღონისძიებას არც ლექციის გარეშე ჩაუვლია. "რელიგია ლიტერატურაში" _ ასეთი იყო თემა, რომლის გარშემოც დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე) საინტერესოდ ისაუბრა და მსმენელთა მოწონება დაიმსახურა. მაცნობეს, დღეს მამა ანტონის მღვდლად კურთხევის 7 წლისთავიაო, აღნიშნა ლაშა ლორიამ და მილოცვასთან ერთად ყველას სახელით "ბიბლია" უსახსოვრა. შემდეგ მისი და მამუკა კიღურაძის მიერ შედგენილი კითხვები სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრმა ლევან ცირეკიძემ დასვა და მოსწავლეებიც აქტიურად

ჩაერთვნენ კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ღონისძიება შეაფასა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა. მან მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს და დეკანოზ ანტონს შესანიშნავი ლექციისთვის. სურვილი გამოთქვა, რომ მომავალში კითხვები ახლახან საჩუქრად გადაცემული წიგნებიდანაც დაესვათ.

განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, რომლის მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი, წიგნების საჩუქრად გადაცემა დაემკვიდრებიათ.

"2014 წლიდან აღვნიშნავთ ამ დღეს." _ გვეუბნება განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე. _ "მთავარია, რომ ამ ღონისძიებაში ბავშვები არიან ჩართულნი, დიდი აქტიურობაა მათი მხრიდან. მიხარია, რომ სამტრედიას ასეთი განათლებული ახალგაზრდები ჰყავს. აღსანიშნავია, პირველი სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობაც. მათი დამოკიდებულება წიგნისა და წიგნიერებისადმი ძალზე მნიშვნელოვანია."

იმ დღეს წიგნი ლაშა ზაქარიაძემაც მოიგო, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: "მოსწავლეთა და ზოგადად ახალგაზრდების წიგნიერება მნიშვნელოვანია ერის გადარჩენისთვის. კარგი იქნება, თუ ასეთი ღონისძიებები წელიწადში არა ერთხელ, ორ-სამჯერ მაინც იმართებოდეს. მადლობა ორგანიზატორებს და მადლობა მამა ანტონს საინტერესო ლექციისთვის."

მეექვსე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელი ხათუნა სიხარულიძე ყოველ წელს იღებს მონაწილეობას ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. "ჯერ უწიგნოდ არ წავსულვარ. ახლა მიხეილ ჯავახიშვილის "კავჭი კვაჭანტირაძე" გადმომცეს. თავისუფალ დროს ყოველთვის ვკითხულობ. საინტერესო ლექციაც ორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში რომ მონაწილეობს და ორივე წელსვე წიგნებით დასაჩუქრდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარეს სიამოვნებს წიგნისადმი მისი თაობის ინტერესი. გვარწმუნებს, რომ ასეთი ღონისძიებებით ერთგვარ ლიტერატურულ წახნაგებში ვექცევით: "ამდენი წიგნიერი ბავშვი პირადად ჩემზეც საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს. მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ისეთი წიგნების სათაურები შეიძლება გაჟღერდეს, სრულიად უცნობი იყოს ჩვენთვის და დაგვაინტერესოს. ამით კიდევ უფრო ივსება ჩვენი ცნობიერება და იზრდება წიგნის კითხვის სურვილი. წიგნის სიყვარული ერთგვარად გადამდებია. ძნელია, ურჩიო ვინმეს, რა წიგნი წაიკითხო, იმდენად მრავალფეროვანი შეხედულებებისა და მიმართულებების მქონე ბავშვები არიან. შეხვდებით სამტრედიის მასშტაბით მეცხრე-მეათე კლასელებს, რომელთაც მსოფლიო კლასიკოსები აქვთ წაკითხული; არიან დეტექტიური ნაწარმოებების უბადლო მცოდნეები; ისეთებიც, ავტორების ბიოგრაფიებს რომ ფლობენ. ძალიან გამიკვირდა, ცვაიგის დაბადების ადგილი რომ იყო კითხვაში და აღმოჩნდა რამდენიმე ბავშვი, რომელთაც სწორი პასუხი ჰქონდათ. მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებები, პერსონაჟები კი არა, თავად ავტორების შესახებაც კარგად იციან."

ძნელია, არ დაეთანხმო ლაშა ლორიას, რომ მსგავსი ღონისძიებები ლიტერატურისადმი სიყვარულს აღვივებს და უფრო მეტი ცოდნის მიღების სურვილს აჩენს ახალგაზრდებში. აქ ხდება მათი ცოდნის გამოვლინება და დაფასებაც.

იწიგნოლი მოკლოდ თვალოთსხილვის ალვარი

ლევან გაბეჩავა

ეს თარიღი 1616 წლიდან, შექსპირისა და სერვანტესის გარდაცვალების გამო დაწესდა, საქართველოში კი მეთხუთმეტედ გამოეხმურნენ.

23 აპრილი, წიგნისა და საავტორო უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს მსოფლიო.

აღნიშნავს და მრავალფეროვან ღონისძიებებსაც უძღვნიან თარიღს.

ხალხმრავლობა იყო ტრადიციულად მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც, სადაც საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას გამოეხმაურნენ.

შეკრებილთ მიესალმა მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, ქალბატონი ლამარა დუნდუა, რომელმაც მობრძანებისათვის სტუმრებს მადლობა მოახსენა.

№1 საჯარო სკოლის მეხუთეკლასელებმა: ნინო ქავზინაძემ, ალ. თელიამ, ანასტასია სპირანტმა, მიშიკო სანიკიძემ, მიხეილ ნიკურაძემ, დავით რამიშვილმა, სალომე სტურუამ, ნათელა მაჩიტიძემ (მასწავლებელი მადონა თარგამაძე) წიგნისადმი საკუთარი დამოკიდებულება და კითხვის კულტურა უჩვენეს დამსწრეთ.

საინტერესო იყო აგრეთვე XI საჯარო სკოლის მოსწავლეების: დიანა კუტალაძის, აზა თევზაძის, ლიზი თათარაშვილის, სალომე დვალიშვილის, სალომე კვინტარაძის, ნინო ლეჟავას გამოსვლა.

ეწრის საჯარო სკოლის XII კლასელი ბუბა ვაშაკიძე და ნიჭიერი ახალგაზრდა ნინო ტორონჯაძე აქტიურად ჩაერთვნენ ღონისძიებაში.

შესაბამისი პროცედურის შემდეგ ამ მოსწავლეთა სახელზე მკითხველის ანკეტა შეივსო. ამიერიდან ისინი ოფიციალურად გახდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები და აქ დასაქმებულმა ქალბატონებმაც ოფიციალურად, თუმცა, გულთბილად მიიპატიჟეს ისინი ბიბლიოთეკაში მათთვის სასურველი წიგნითა და ინტერნეტით სარგებლობისათვის.

ლამაზად აღინიშნა წიგნისა და საავტორო უფლების დაცვის საერთაშორისო დღე ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

წარმატებული სიახლე ქეთი ზარიაშვილის ცხოვრებაში

თეა ბაბუნაშვილი

გვჯერა, რომ მალე მასზე გაზეთები მსგავსი სათაურებით დაწერენ. მედია დაინტერესდება მცირე დეტალებით მისი ყოველდღიურობიდან. გვჯერა იმიტომ, რომ დიდი წარმატებები ელოდება ვოვონას, 12 წლის ასაკში მასზე ხშირად რომ გვიწევს წერა. იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი ქეთი ზარიაშვილს, იცნობს კომპეტენტური ჟიური არაერთი ფესტივალისა თუ კონკურსისა, იცნობენ ისეთ წარმატებულ მუსიკალურ წრეებში, ახალგაზრდა შემსრულებლების აღმოჩენით და გაცნობით რომ არიან დაკავებული და დაინტერესებული.

ჯერ კიდევ მეორე კლასელი ქეთი ზარიაშვილით დაინტერესდა ალექსანდრე შიუკაშვილი. საჩუქრად მისი რამდენიმე მასტერკლასი მიიღო. უკვე დაეხმარა და სამომავლოდაც დაეხმარება ისინი სამტრედიის დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეს, წარმატებებს წარმატებები მოჰყოლოდა. აქვე ისიც, და ძალიან ხმამაღლა, რომ ქეთი ზარიაშვილი სახელოვანი ტრადიციების მქონე სამუსიკო სკოლის მაღალკვალიფიციური პედაგოგის, თამარ შურღაიას მოსწავლეა. ეს კი მისი წარმატების ნახევარია ქეთის შრომისმოყვარეობისა და ნიჭიერების თანხვედრით და ამაზე არავინ დავობს!

ახლა სამუსიკო სკოლის მეოთხე კლასელია. არა მხოლოდ მუსიკას, სასკოლო დისციპლინებსაც ერთნაირი მონდომებითა და სიბეჯითით სწავლობს. პირველობა სწავლასა და შრომაში, მისი ცხოვრებისეული ლოზუნგია. თვლის, რომ მთავარია მოინდომო... უფრო სწორად, შედეგი ისეთია, როგორიც ადამიანის შრომისმოყვარეობა და დამოკიდებულება საკუთარი შინაგანი პოტენციალისადმი. ნიჭის გამოყენება არა ნიჭიერების, არამედ მისადმი სწორი დამოკიდებულების დამსახურებაა. ქეთის ოჯახის არცთუ მაღალი ეკონომიკური პირობების გამო, მას არ უვლია რეპეტიტორებთან, არ მიუღია ძვირადღირებული გაკვეთილები, თუმცა ფაქტი სახეზეა _ მისი მოკლე დახასიათებაა, წარმატებული საკუთარი ნიჭიერების და მონდომების ხარჯზე!

ბახის სახელობის რესპუბლიკურ კონკურსზე ქეთი ზარიაშვილის წარმატებები ჩვენამდე დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის დირექტორმა ირმა შანიძემ მოიტანა. უბრალოდ ბედნიერი გახლდათ იგი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უწევს მისი სკოლის აღსაზრდელების მიღწევებზე საუბარი, ქეთის კიდევ ერთ მიღწევაზე ჰყვებოდა: "ჩვენი ყოფილი კოლეგის შვილიშვილია. მართალია, მასში მუსიკალური გენებიც არის, მაგრამ ქეთის განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ხელოვნების ამ დარგის მიმართ. ორმაგად სასიამოვნოა, რომ ასეთ შედეგებს ნიჭიერებასთან ერთად საკუთარი მონდომებისა და შრომისმოყვარეობის ხარჯზე დებს."

ამჯერად ბახის სახელობის რესპუბლიკურ კონკურსზე პირველი ადგილის მფლობელი გახდა და კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა კონკურსის მაღალკვალიფიციური ჟიური.

ჰოდა, ასეთ წარმატებულ მოსწავლეს, ბავშვს, რომელიც იმედია, სულ მალე იმ სამტრედიელების რიგში იქნება, სახელი რომ გაუთქვეს მუნიციპალიტეტს, საკუთარი ჭერიც არ აქვს. "გული მტკივა, ამ საკითხზე რომ მიწევს საუბარი, მაგრამ ასეა! ღმერთმა ნუ ქნას, დაიკარგოს გულისხმიერი ადამიანების იმედი. ქეთის ოცნებები 12 წლის ბავშვისას არ ჰგავს და მინდა ისინი ფერადი გახდეს. იქნებ ერთად შევძლოთ მისი დახმარება, მით უმეტეს, რომ იგი ამას იმსახურებს!" _ ამბობს სახელოვნებო სკოლის დირექტორი ირმა შანიძე.

დღეს ვერავის გავაკვირვებთ სიდუხჭირით განთქმულ ამ ქვეყანაში სხვისი გაჭირვებით, მაგრამ... იქნებ გაითვალისწინონ იმათ, ვინც საკუთარი შრომით მიღწეული გამარჯვებების ფასი იცის!

ის ის იყო და არავის ჰგავდა

19 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მხატვარ გივი ვაშაკიძის "ვეფხისტყაოსნის" მინიატურული ესკიზები გამოიფინა, რამაც, როგორც რიგითი დამთვალიერებლის, ასევე სახელოვნებო საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. ამ გამოფენის მთავარი მიზანი გახლავთ, რომ გაუჩნდეს ვინმეს სურვილი, გამოსცეს წარმოდგენილი მინიატურებით დასურათებული "ვეფხისტყაოსანი".

გივი ვაშაკიძის მოგონება და არდავიწყება უეჭველია, რადგან მისი უკიდეგანო შრომის ნაყოფი მისი უნაზესი და უფაქიზესი ნახატებია. ისინი ძალიან ჰგვანან ავტორს, უმწიკვლოსა და მოკრძალებულ ადამიანს. იგი ყველაფერ მშვენიერს ხედავდა, იღვწოდა, იწვოდა, სამშობლო უყვარდა. ის ის იყო და არავის ჰგავდა.

ციცინო ლეჩავა

საყვარელ საქართველოში იცინის გაზაფხული

პირველ ბაგა-ბაღში შესანიშნავი ღონისძიება გაზაფხულს მიეძღვნა. ეს პირველი ღონისძიებაა მას შემდეგ, რაც საბავშვო ბაღში მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. ბაღს ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები და წარმომადგენლები მრავლად სტუმრობდნენ. პირველად 3-4 წლიანთა ჯგუფის აქტივობას დაესწრნენ, სადაც პედაგოგ ირმა შენგელიას პატარა აღსაზრდელებმა სხვადასხვა საინტერესო ნამუშევრები საკვები პროდუქტებით შექმნეს. სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს ახლად გარემონტებული ოთახები, ყველა მათგანი კმაყოფილია შესრულებული სამუშაოების ხარისხით. სამუშაოები გია პატარიძის კომპანიამ "გია და კომპანია" აწარმოა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი, ხათუნა გაგუა: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ამ ბაღის სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა ოთახები, მოწესრიგდა სველი წერტილები, გარემონტდა სამზარეულო, დარბაზი, დღეს შესანიშნავი აქტივობა წარმოადგინეს პატარებმაც და 5-6 წლიანთა ჯგუფმაც."

ბაგა-ბაღის მეთოდისტის, ლელა ხუჭუას თქმით, 5-6 წლიანთა ჯგუფი მომზადებას სასკოლო მზაობის ახალი პროგრამით გადის. პირველი ბაგა-ბაღის მმართველმა მარინა შენგელიამ "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა: " ბაღში ოთხივე ასაკობრივი ჯგუფისათვის გარემონტდა სათამაშო ოთახი, გარდერობი, ჭურჭლის სარეცხი და სველი წერტილები, მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და ხელისუფლების წარმომადგენლებს, დარჩა მხოლოდ ბაღის წინა ფასადი მოსაწესრიგებელი, არ გვაქვს გათბობა და თბილი წყალი. "მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "ბაგა-ბაღებზე ზრუნვა კვლავ რჩება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტად, ხელისუფლებაში რომ მოვედით, გადავწყვიტეთ, გამოგვესწორებინა და გაგვეუმჯობესებინა ბავშვთა კვება, მძიმე მდგომარეობაში იყო ბაღების ინფრასტრუქტურა. ეს პროცესი არამც და არამც არ შეჩერდება, ეტაპობრივად ყველა ბაღის ინტერესებს გავითვალისწინებთ, ბაღებს ყურადღება არ მოაკლდება, მადლობა ამ ლამაზ ბავშვებს, პედაგოგებსა და ბაღის მმართველს დღევანდელი ღონისძიებისათვის."

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა 5-6 წლიანთა ღონისძიებამ (აღმზრდელი ციცინო კელენჯერიძე, მუსიკის პედაგოგი ნათია ბოჭორიძე). სცენაზე ნამდვილი გაზაფხულის იმიტაცია შეიქმნა. ყველა ყვავილს მოეყარა თავი, ყველა თავის უპირატესობაზე გვესაუბრებოდა, სიკეთის უძლეველობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით: აქ მგელი და კრავი ერთად მღეროდნენ, მელა და ჩიტებიც ერთურთს არ მტრობდნენ.

ნათია ნაცვლიშვილი

დედამიწის დღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება

ნათია ნაცვლიშვილი

მეოთხე ბაგა-ბაღის ეზოში უკვე მეორედ განხორციელდა გრანდიოზული პროექტი. პირველი გასულ წელს შემოდგომას მიეძღვნა, წლეულს კი მუნიციპალიტეტის ამ საალმზრდელო დაწესებულებაში შესანიშნავი ღონისძიება დედამიწის დღეს მიუძღვნეს. "გავუფრთხილდეთ დედამიწას" _ ეს სახელწოდება

ჰქონდა მასშტაბურ, საინტერესო პროექტს, რომლის წარდგენას ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები დაესწრნენ. ღონისძიებას ბაგა-ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა ჩვეული ენერგიით და ემოციით გაუძღვა. ბავშვები სასკოლო მზაობის ახალი პროგრამით გადიან სწავლებას, კონკრეტულ შემთხვევაში კი მეოთხე ბაგა-ბაღის მეთოდისტმა მარინა ქოჩოვმა თბილისიდან წინმსწრებად ჩამოიტანა სახელმძღვანელო, რომლის მეთოდიკას დაეფუძნა ეს საინტერესო ღონისძიება. ღელავდნენ მეთოდისტები მარინა ბაღდავაძე და მარინა ქოჩოვი, მაგრამ ამაოდ, ბაღის მმართველმა, აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა საუკეთესო სანახაობა შესთავაზეს ეზოში შეკრებილთ.

ეზო 5 ზონად იყო დაყოფილი, ხუთი თემა ხუთი პედაგოგის და ბავშვების მონაწილეობით გაიშალა. ყველა თვალსაჩინოება იყო წარმოდგენილი, თემის შესატყვისი დეკორაციები, ბავშვები უამრავი თვალსაჩინოებითა და უნიფორმით. დედამიწა და კოსმოსი _ ამ თემაზე პრეზენტაცია აღმზრდელ ნინო რუხაძის მოსწავლეებმა წარმოადგინეს. ბავშვები გიგანტურ ციურ სხეულებად არიან გარდასახულნი, აქვეა კოსმონავტი ბიჭი. მზის ირგვლივ მოძრავი 9 პლანეტის სახელწოდებებიც იციან პატარებმა და იმ ხელსაწყოსიც, რომლითაც მზის, მთვარის და ვარსკვლავების დანახვა შეუძლიათ. პროფესიით ფიზიკოსი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია, ყურადღებით უსმენდა პატარებს და ცოდნას უქებდა.

სინქრონულად ერწყმის ერთმანეთს თემის შესაბამისი ლექსი თუ სიმღერა, როცა ბიომრავალფეროვნების შესახებ მაკა ჯანელიძე და მისი აღსაზრდელები მოგვითხრობენ. ბავშვები აქაც უამრავ ცოდნას ავლენენ საქართველოს ფლორის და ფაუნის შესახებ. პატარებმა დედამიწის დღის დამფუძნებლის, ამერიკელი სენატორის, ნელსონის შესახებაც იციან. 1969 წელს სანტა-ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რამაც ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადრების და წყალმცენარეთა განადგურება გამოიწვია. სწორედ ამის შემდეგ დააარსა სენატორმა დედამიწის დღე, თარიღი საქართველოში 1990 წლიდან აღინიშნება. წყალი და ენერგიის დამზოგველობა _ ამ თემაზე საინტერესო აქტივობები ნანა ლეკვეიშვილმა და მისმა ცისფერსამოსიანმა პატარებმა შემოგვთავაზეს. აქვეა წყლით სავსე ავზები, აკვარიუმში თევზები და უამრავი თვალსაჩინოება. ბავშვებმა იციან, რომ ადამიანი წყლის გარეშე 4-5 დღე ძლებს. პატარებმა წყლის რესურსის დაზოგვისკენაც მოგვიწოდეს.

ნარჩენების მართვა ერთ-ერთი თემაა. სიტყვა ნაგავი აშკარად უსიამო ასოციაციას იწვევს, მაგრამ მარინა კაკაბაძის აღსაზრდელებმა გზა ნარჩენებიდან პოდიუმამდეც გაგვატარეს. ულამაზესი ცისარტყელა პოლიეთილენის პარკებით შექმნეს, ბავშვებს დანაგვიანებული ეზოს დასასუფთავებლად ხელში ცოცხები უჭირავთ, შესაბამისი სამოსი აცვიათ, გვიან ეზოს და "მეზოვის" პროფესიის შესახებ გვესაუბრებიან. აქვეა ნიკო ფიროსმანის ნახატი მეეზოვე. მეეზოვის პატივსაცემად პატარებმა ცეკვაც შეასრულეს, მერე კი ხახვისა თუ ბადრიჯნის ტომრებისაგან შეკერილი კაბებით პოდიუმზეც გავიდნენ.

უსაფრთხოება _ გულო ბოხუასა და მისი აღსაზრდელების თემაა. ამ უბანზე ნამდვილი სასწაული გელით. პატარები შემთხვევით დავარდნილი სანთებელასგან გაჩენილ ცეცხლს აქრობენ, სამაშველო ეკიპაჟიც აქ არის, ტელეკომპანიის ჟურნალისტებიც აქ არიან, პატრულის თანამშრომლებმა და მედდებმა ადამიანის სიცოცხლე იხსნეს. მისიის შესრულების შემდეგ ერთად შეასრულეს სიმღერა " სიმართლისთვის თავს გასწირავს პოლიცია"...

გემოვნებიანი და შინაარსიანი ღონისძიება ყველა დამსწრემ მოიწონა. შთაბეჭდილებათა დაფაზე მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, წააწერა, რომ ღონისძიებით აღფრთოვანდა და წარმატება უსურვა ბაღის მთელ კოლექტივს. ღონისძიება მაღალ დონეზე შეაფასეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსმა, ხათუნა გაგუამ, უფროსის მოადგილე მარინა შენგელიამ, გაერთიანების შესყიდვების კოორდინატორმა, ქეთევან ივანიშვილმა, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისის თავმჯდომარემ მანანა სირბილაძემ და ბაგა-ბაღის მეთოდისტმა, ნანა კორძაიამ. _ ეს არის ახალი სტანდარტი და სამტრედიის სინამდვილეში უმაღლესი ნიშა. _ აღნიშნა მანანა სირბილაძემ. მართლაც, ამ ბაგა-ბაღმა თამასა ძალიან მაღლა ასწია და ძალზე გემოვნებიანი, მაღალი დონის შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების ტრადიცია დაამკვიდრა.

წმინდა იდეალებით გამსჭვალული მეგობრობა

სამტრედიელებს კარგად მოეხსენებათ, რომ ცნობილი ქართველი პოეტი ანდრო თევზაძე ჩვენი თანამემამულეა და ოჯახის სიძე. მის ნაწერებს საპატიო ადგილი უჭირავს საოჯახო ბიბლიოთეკაში. ამას წინათ, ინტერესით ვადაკავალე თვალი 1977 წელს გამოცემულ ლიტერატურულ წერილებს, სახელდობრ, წერილს _ "წმინდა იდეალებით გამსჭვალული მეგობრობა", რომელიც გამოჩენილი ქართველი მწერლისა და დრამატურგის, შალვა დადიანისა და თვალსაჩინო თანამემამულისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძის მეგობრობას ეხება, რაც, ვფიქრობ, დააინტერესებს ჩვენი გაზეთის მკითხველს.

ნათელა გელოვანი



შალვა დადიანი

"სახელოვან ქართველ მწერალს, შალვა ნიკოლოზის ძე დადიანს, ბევრი მეგობარი და პატივისმცემელი ჰყავდა. მისი ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა აღსავსე იყო გამოჩენილ მწერლებთან, სცენის ოსტატებთან, მუსიკოსებთან თუ სხვა პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობის, შეხვედრის, მოგზაურობისა და ლაღობის შემთხვევებით. შალვას მეგობართა გალერეა მდიდარი იყო უცხოელი, რუსი, უკრაინელი და საკუთრივ ქართველი თვალსაჩინო ადამიანებით, ვისთან არ ჰქონია მას მიწერ-მოწერა, სად და ვისთან არ გადაუღია სურათი, ვისზე არ წარმოუთქვამს სიტყვა და ვისთვის არ გაუზიარებია თავისი აზრი... მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, ყველას ერთნაირი ადგილი სჭეროდა მის გულში, ყველასადმი ერთგვარად გულწრფელი და გულახდილი ყოფილიყო და თავისი სულიერი ტკივილები და სიხარული ერთნაირად გაეზიარებინა. სწორედ მის განსაკუთრებულად ახლო მდგომი მეგობრებიდან ერთი პირველთაგანი იყო თვალსაჩინო ქართველი ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძე.

ნიკოლოზ ალექსის ძე დგებუაძე წარმოშობით ქვემო იმერეთის შესანიშნავი კუთხიდან, სოფელ ღანირიდან იყო. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა იღვიძებდა ქართველი ხალხი და სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა ევროპისაკენ მიილტვოდა ცოდნის შესაძენად, ნიკოლოზ დგებუაძე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების (1883 წ.) შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთს გაემგზავრა. ეს ფაქტი იმდენად იშვიათი და სასიამოვნო იყო იმ დროს, რომ გაზეთმა "ივერიამაც" კი აღნიშნა თავის "ახალ ამბებში": ოდესიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში ოდესაში გამოიარა ორმა ქართველმა ახალგაზრდამ, რომელნიც საფრანგეთში წავიდნენ აგრონომიის შესასწავლად, ერთი იყო ნ. დგებუაძე და მეორე გ. ჟურული. ("ივერია" 16/10 223 1886 წ.).

ნიკოლოზ დგებუაძე 1889 წელს ამთავრებს ქ. მარსელის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას, ღრმად განათლებული და მოწინავე იდეებით გამსჭვალული უბრუნდება მშობლიურ სოფელს ნ. დგებუაძის მოქალაქეობრივ მიზანს შეადგენდა თავისი ენერგია და ცოდნა. სამშობლო ქვეყნის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს გამოდგომოდა. ამ მიზნით მან სოფელ ღანირში მოაწყო პირადი ბაღი-ფერმა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც მეზობელ სოფელ დიდ ჯიხაიშში მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მიერ გაშენებული მამული. ნიკო ნიკოლაძესა და ნიკოლოზ დგებუაძეს ახლო მეგობრობა ჰქონდათ არა მარტო როგორც ქართველ პატრიოტ მოღვაწეებს, არამედ როგორც საზოგადო მნიშვნელობის მქონე მეურნეობის ფერმების მომწყობთ, ურთიერთს უზიარებდნენ და ახმარდნენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღწევებს.

ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძემ უცხოეთიდან გამოიწერა საუკეთესო ხეხილის ნერგები, თესლები და თავის ბაღში მოშენებისა და გამრავლების შემდეგ უსასყიდლოდ ურიგებდა მშრომელ გლეხობას, რათა თავიანთ კარმიდამოში გაეშენებინათ. კოკინია დგებუაძემ საქართველოში პირველმა შემოიტანა ბევრი ისეთი ჯიში მცენარისა, რომელიც მანამდე არ ყოფილა. მაგალითად, იტალიური იასამანი, გულაბი მსხალი, კაკლის რამდენიმე ჯიში, იაპონური ატამი და ხურმა, მანდარინი, ლიმონი, გრეიპფრუტი და სხვა მრავალი. მან პირველმა შექმნა ტრიფოლიატის ბუჩქებიდან ცოცხალი ღობე, რომელიც ახლაც ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში.

კოკინია დგებუაძის აგრონომიული ცოდნისა და ფიზიკური მუყაითი შრომის შედეგად მისი ფერმა-ბაღი 3-4 წელიწადში ნამდვილ, წალკოტად იქცა, რომელსაც ერთსულოვნად იწონებდა ყველა მნახველი. 1891 წლის გაზეთი "ივერია" ილია ჭავჭავაძის ვრცელ სტატიასაც კი აქვეყნებს ამ მშვენიერი ფერმა-ბაღის შესახებ: "სასიხარულოდ ჩნდება, _ ვკითხულობთ აღნიშნულ სტატიაში, _ ამ ბოლო დროს ჩნდება ჩვენს ქვეყანაში თითო-ოროლა ამისთანა... ჩვენთვის სამაგალითო ფერმები... ქვემო იმერეთში სოფელ დიდ ჯიხაიშს ამისთანა ფერმა გაუშენებია ბ-ნ ნიკოლაძეს და მეორე უფრო პატარა ფერმა ს. ღანირს ნ. დგებუაძეს. ორივე სასიამოვნო სანახავია და სასარგებლო ყოველის ჩვენებურის მეურნისათვის. გარდა იმისა, რომ ეს ფერმები ავრცელებს სოფლებში უკეთესს ხეხილის ნამყენებს და თესლეულობას, მათ შეიმუშავეს მოვლის წესები, თვით ფერმის პატრონების მაგალითს ბევრი მეზობელი თავადი აზნაური მუშაობას მიუჩვევია... საცა მივედი ამ სოფელში, თითო-ოროლა რამ ყველას გადმოუღია მოხსენებულ ფერმერებიდან. ხშირად სჯიან, ბაასობენ სამეურნეო საგნების შესახებ და ამის მიზეზს სულ იგივე ფერმები აძლევს ყველას. იმისთანა ყმაწვილებს დაუწყიათ თავის ხელით მუშაობა ახლა, რომ ფრჩხილების წმენდის, ჭამის და ძილის მეტი არა გაუკეთებიათ რა თავის სიცოცხლეში. ორსამ სოფელში რომ თითო ამისთანა ფერმა გაჩნდებოდეს, მეურნეობის ბედი გამობრუნდებოდა ჩვენს ქვეყანაში".

"ივერიის" ასეთი ფართო გამოხმაურება იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა სახალხო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონია იმ დროს ნ. ნიკოლაძისა და ნ. დგებუაძის ფერმა-ბაღებს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ახალ, მეცნიერულ საფუძველზე განვითარებული გზით წარმართვისათვის. ნ. დგებუაძე თავისი ბაღის ექსპონატებს ხშირად გზავნიდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილ გამოფენებზე, საიდანაც მრავალი ოქროს მედალი და სიგელი ჰქონდა მიღებული.

თავის სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ნ. დგებუაძე პრესაშიც მონაწილეობდა აგრონომიული თუ სხვა ხასიათის სტატიების გამოქვეყნებით. მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ დროს ჟურნალ "მეურნეში" გამოქვეყნებული მისი ვრცელი წერილი "ვენახის გასხვლა და მისი გავლენა ფილოქსერაზე" ("მეურნე", 1895წ. №12,13, 14, 15) წერილში აღნიშნულია ფილოქსერას დამღუპველი მავნებლობა ვაზის მიმართ. ავტორი მევენახეებს ურჩევს, რომ საჭიროა გადაუდებელი ღონი-

→

წმინდა იდეალებით გამსჭვალული მეგობრობა

სძიებანი ფილოქსერას წინააღმდეგ. ერთი ასეთი ღონისძიებაა ვენახის გასხვლა სათანადო წესების დაცვით. ავტორს მოჰყავს ამერიკის და იტალიის მევენახეთა მაგალითები. ნ. დგებუაძემ ერთ-ერთმა პირველმა ურჩია ქართველ მევენახეებს, რომ აუცილებელია ამერიკული ვაზის ძირზე დამყნა, რადგან მხოლოდ იგი უძლებს ფილოქსერასო. აღნიშნული წერილი სხვა მრავალ ამგვარ დარიგებებსა და ახსნა-განმარტებას შეიცავს.

საკმაო სისრულით ახასიათებს თავად-აზნაურთა ფუქსავატურ ცხოვრებას ნ. დგებუაძის მეორე ვრცელი წერილი, იმავე ჟურნალში დაბეჭდილი. ავტორი მოურიდებლად კიცხავს თავად-აზნაურობას სიზარმაცისა და უუნარობისათვის, რაც იმ დროს ჩვენი მეურნეობის ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია. წერილში ვრცლადაა აღწერილი თავად-აზნაურთა მუქთახორული ჩვეულებები, უდროო დროს სტუმრობა, ქეიფი, კარტის თამაში და მიუთითებს, რომ საჭიროა, მათ წაბაძონ მშრომელ გლეხობას, რომლებიც უკეთ ცხოვრობენ, რადგან შრომობენო.

აი, ერთი ადგილი აღნიშნული სტატიიდან:

... ხშირად შეეხვდებით დაღარიბებულს, ნივთიერად ძლიერ დაცემულს თავადს, აზნაურს, რომელიც იძულებულია, თავისი სარჩო, თუ არა ერთი წლის, ნახევრის მაინც დაამუშაოს თავისს რამდენიმე ქცევაზე. იმ ზომამდე სათაკილოთ და სამარცხვინოთ მიაჩნია მუშაობა, რომ, თუ ნაცნობმა მისივე ხარისხისამ შემთხვევით, მუშაობის დროს მგზავრად გაუარა, თოხს შორს გადააგდებს და პაპიროსს დაუწყებს კეთებას: "არ გეგონოს ვმუშაობდი, არა, მამულის დასათვალიერებლად გეახელი, ბიჭებს ხომ რამე არ გაუფუჭებიათ!" ვაი, ამისთანა მამულს და ვაი ამისთანა ამპარტავნებს!.. ამისთანა უკუდო ამპარტავნობა და უქმობა უფრო სამარცხვინო და საზიზღარი უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ ეხლა იმისთანა დროში ვართ, რომ თუ ხელი არ გავანძრიეთ, არ ვიმუშავეთ, ჩვენისთანა საცოდავი არსება არა მგონია დედამიწაზე მოიძებნოს... წავიდა დრო უქმობისა, დიდკაცობისა, ქორ-მიმინო-მწევარ-მეძებრებისა! იმ საუკუნემ ჩაყლაპა, დავუჯეროთ (ალბათ, დავაჯეროთ _ ა. თ.) თავს, რომ უსაქმობა არას მოგვიტანს... ისევე სჯობს ხელი მიწაში გვქონდეს დასვრილი, ვიდრე სინდისი უსაქმურობით და ხანჯალი ძმის სისხლით... (ნ. დგებუაძე, "ჩვენი დღის ვარამი", ჟურნალი "მეურნე", 1895 წ, №23). რა თქმა უნდა, თავადაზნაურობას რაც უნდა ბევჯითად ემუშავა ფიზიკურად, ჩვენი ქვეყნის კერძო მესაკუთრულ, ჩამორჩენილ მეურნეობას ვერას უშველიდა და გადაგვარებულ თავადაზნაურთა შეგონება, მშრომელ გლეხებს მიბაძეთ, მგლის თავზე სახარების კითხვას ნიშნავდა, მაგრამ ნ. დგებუაძის აღნიშნულ წერილს იმ დროს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ნიკოლოზ (კოკინა) დგებუაძე აქტიურად ჩაება სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, სადაც უანგარო და ენერგიული შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა, როგორც ღრმად განათლებულ და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე აგრონომს.

კოკინა დგებუაძე ამასთან ერთად იყო შეუდარებელი მომღერალი და თავისი თანამედროვენი მოხიბლული ჰყავდა გულში ჩამწვდომი ტენორით. იგი ათეული წლის მანძილზე მონაწილეობდა ქართულ ხალხურ პირველხარისხოვან გუნდებში, როგორც სოლისტი და მის მიერ შესრულებული ბევრი სიმღერა-რომანსი სამაგალითოდ ითვლებოდა იმ დროის მუსიკის მოყვარული საზოგადოებისათვის. ნ. დგებუაძის შესრულებით სამ ათეულზე მეტი სიმღერაა ჩაწერილი გრამფირფიტებზე, რომლებიც გავრცელებულია ჩვენში, რუსეთსა და უცხოეთშიც.

აი, სწორედ ეს ადამიანი იყო შალვა დადიანის უახლოესი მეგობარი. საჭიროდ მიმაჩნია, აქვე აღვნიშნო შალვა დადიანის ბიოგრაფიისათვის ერთი საგულისხმო შტრიხი, რამაც სულიერად ერთმანეთს მჭიდროდ დააკავშირა ეს ორი პატრიოტი მოღვაწე.

ბევრს ჰგონია, რომ შალვა დადიანის ცხოვრების გზა ყოველთვის ვარდმოფენილი იყო და თითქოს მის გულს არავითარი დარდი და განსაცდელი არ მიჰკარებია. მაგრამ ამ ბუნებით ლაღ ადამიანსაც ჰქონდა მწარე განცდებით აღსავსე სევდიანი დღეები.

მოვუსმინოთ მის ერთ ბიოგრაფს:

"1907 წელს შალვამ გადასწყვიტა სიყრმის ოცნების განხორციელება და საზღვარგარეთ გაემართა. მას ეხმარებოდა ბებიის და, ელისაბედ აბაშიძის ასული, მეუღლე იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ნიჟარაძისა, მაგრამ შავ ბედს არც აქ ეძინა და შალვამ ოდესაში შეიტყო, რომ ეს მისი ერთადერთი ნუგეშიც გამოეცალა ხელიდან. ოდესიდან ნაშიმშილევი და გაწამებული, რის ვაი-ვაგლახით ისევ სამშობლოში დაბრუნდა, რიონის სადგურზე მას შეხვდა მისი მეგობარი კოკინია დგებუაძე, შეიტყო მისი უმწეო მდგომარეობა და თავის სახლში წაიყვანა ქუთაისში, სადაც სრულს მის ხარჯზე გაატარა ერთი წელიწადი.

ამგვარად, შალვა დადიანმაც განიცადა შავბედითი "ვალდებულება" ქართველი მოღვაწისა, ე. ი. უგზო-უკვლოდ, უპატრონოდ, სიმშილსა და სიცივეში წანწალი იდეალის ძიებაში, რომელიც საბედისწერო ხვედრია ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებისა. (ნ. კურდღელაშვილი, _ნარკვნის შესავალი წერილი, შალვა დადიანის "პიესები" ტ. I, სახელგამი, 1923 წ, გვ. 23).

ამ ამბის შემდეგ შალვა დადიანმა მრავალი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა ქართულ თეატრსა და მწერლობაში. ბევრი სახელმოხვეჭილი პიესა შესძინა ქართულ დრამატურგიას, მრავალი თვალსაჩინო როლი განასახიერა სცენაზე და კიდევ უფრო მეტი შესანიშნავი მოთხრობა, თარგმანი თუ წერილი გამოაქვეყნა. მან შექმნა ქართველ მსახიობთა მოგზაური დასი და აგრეთვე, დიდხანს მოღვაწეობდა ბაქოს ქართული დასის რეჟისორად და მსახიობად.

და აი, თეატრალურ და ლიტერატურულ შემოქმედებით სიმწიფეში შესული შალვა დადიანი თავის სულიერ განცდებს უზიარებს სიჭაბუკის მეგობარს ნ. დგებუაძეს:

..."რა მადლობელი ვარ შენი!

არ ვიცი, მითქვამს თუ არა, იმ დროს, როდესაც ჩემს საპირადო ცხოვრებაში ერთგვარი ჩამობნელების ხანი იყო დამდგარი, როდესაც ეჭვით აღვსილი, მომავლისკენ უიმედოთ გამომზირალი რუსეთიდან ჩამოვედი სამშობლოში და არავითარი სხივი სამეგობრო, მანუგეშებელი მე აქ არ მომელოდა, შენ გამომიწოდე ძმური ხელი, შემივრდომე შენ ჭერ-ქვეშ, შენს სპეტაკ გულთან და... შემინახე, შემინახე, თურმე მისთვის, რომ აი, ამ სანუგეშო, საგმირო განთიადს მოვსწრებოდი.

ეს სამუდამოდ დაუვიწყარია კერძოდ ჩემთვის.

მართალია, მე და შენ მაშინ არ გაგვიწევია რაიმე კულტურული მუშაობა, არ ჩავღრმავებულვართ რაიმე სამეცნიერო შრომაში, პირ-იქით ერთის შეხედვით მეტად ზერელე და ფუქსავატ ცხოვრების ზედა-პირზე დავქანაობდით, მაგრამ ეხლა რომ ვუკვირდები, სწორედ ეგ იყო ჩემთვის იმჟამად გამკურნებელი, ჩემი დაღლილი სულის გამაცოცხლებელი და იმ ხუმრობაში, იმ საძმო ქეიფში კვლავ ჩემი შეგნება კაჟდებოდა, მაგრდებოდა, სიცოცხლისკენ პირს იბრუნებდა.

მართალია, სამწუხაროდ, ისეთ ღირებულებას არას წარმოვადგენ, მაგრამ, დავიტრაბახებ, ერთი აგური მეც მიმიტანია ჩვენი სათაყვანო, თავისუფალ საქართველოს დიად ტაძრის ასაშენებლად.

და, აი, ეს შენი ბრალია, შენი, საყვარელო კოკინია!

შენის ვითომ ხუმარი გამხნევებით, შენის საკვირველი ზრდილობიანის დაფასებით, რომელსაც შენ მიერ ჩემდამი მუდამ ვგრძნობდი, კვლავ შთამბერე სული ცხოველი და აჰა, ამ დღეს შემასწარ.

მხურვალედ გკოცნი მადლობით აღელვებული და ნუ გაგაკვირვებს ამ წერილის საზოგადოთ მაღალი, ზე-აწეული კილო....

არის მომენტი, როდესაც ასე უფრო გამოთქვამ თვით შენი გულის უახლოეს მეგობართანაც შენ გრძნობას...

მაშ, იყავ კარგათ, ბებერო, შენ, და გაიხარე..."

ვფიქრობ, ამ ბარათს არავითარი კომენტარი არ სჭირდება, იგი სავსებით ნათელია და მკითხველისათვის არც იქნება გასაკვირი, "ამ წერილის საზოგადოთ ზეაწეული კილო"... რადგან ის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უბადლო ოსტატის კალამს ეკუთვნის.

სამწუხაროდ, კოკინია დგებუაძეს სიბერე გაუმწარდა _ ოთხი ვაჟი ტრაგიკულად დაეღუპა, რამაც საბოლოოდ გატეხა მისი ვაჟკაცური სული და ახალგაზრდობის თუ სიჭარმაგის ბედნიერ წლებს ცრემლით განბანილი დღეები მოჰყვა. იგი 74 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1937 წელს (დაიბადა 1863 წ).

შალვა დადიანი კოკინია დგებუაძის გარდაცვალების შემდეგაც არ ივიწყებდა მისი ოჯახის წევრებს, კვლავ გულითად მეგობრობას განაგრძობდა მათთან, ხშირად ნახულობდა, ბარათებითაც ამხნევებდა.

აქ წარმოდგენილი მეორე ბარათი შალვა დადიანს კოკინია დგებუაძის მეუღლე ვარინკა მიქელაძე-დგებუაძისათვის მიუწერია, როცა ღრმად მოხუცებული და დაუძლურებული ქალი მართლაც საჭიროებდა მეგობრის ყურადღებასა და გამამხნევებელ შეძახილს.

"ძვირფასო ვარინკა, კარგა ხანია მივიღე შენი გულითადი, გრძნობით აღსავსე წერილი და კარგა ხანია მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ისე მოეწყო ჩემი ცხოვრების პირობები, რომ მოცლა სრულიად არა მქონდა, შემდეგ მოსკოვშიც მომიხდა წასვლა უმაღლესი ჯილდოს მისაღებად და დაბრუნდი მხოლოდ გუშინ.

შენ მართალი ხარ ვარინკა! რასაკვირველია მარტო არა ხარ, როდესაც მე მიხსენებ. ჩემი გული შენდამი და შენი ოჯახისადმი ისევე ერთგულად ძგერს, როდესაც ამ 40-45 წლის წინათ. მუდამ ასეც მიგულე და თუ რამეში საჭირო ვიქნე, მომმართე დაურიდებლად.

დიდად მესახელება, რომ ესეთი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი გამოდექ ამ ცხოვრებაში და ღირსეულად გაამართლე ძველი ქართული სიბრძნე დიდებულ შოთას პირით თქმული:

"ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა!" შენ ცოცხლობ შენი ძვირფასი შვილებისა და შვილიშვილის საკეთილდღეოდ და სადღეგრძელოდ. ეს დიდი ნუგეშის მომგვრელი მდგომარეობაა და უდიდესი ადამიანური მოვალეობა. ეს შენ ძალიან კარგად გაქვს შეგნებული და მუდამაც ამან უნდა გაგამხნეოს.

ძალიან გამახარა შენმა ლიზეტამ და იმ ბავშვებმა, რომელთაც ეგეთი საუცხოო წერილი მომწერეს.

ერთხელ კიდევ გადაეცი მათ მადლობა და უსურვე, რომ ყოფილიყვნენ ღირსეული შვილები.

გულით მინდა შენი ნახვა. ჩემ იუბილესთან დაკავშირებით შეიძლება მომიხდეს მანდეთ წამოსვლა და მაშინ აუცილებლად გამოგივლი. ეს მგონი, ამ გაზაფხულზე უნდა იქნეს. იყავ მხნედ და დიდგრძელი.

შალვა დადიანი, 1939, 28 XI."

ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძის ქალიშვილები: იდა დგებუაძე (საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი) და ელიზავეტა დგებუაძე-ცოტაძე (ღვაწლმოსილი პედაგოგი) დიდი სიყვარულით იგონებენ მხცოვანი მწერლის, შალვა დადიანის, სასურველ ურთიერთობას მის ოჯახთან და როცა ღრმად მოხუცი მათი დედა გარდაიცვალა (1950 წ.) დაკრძალვის დღეს, თავადაც ღრმად მოხუცი შალვა დადიანი მთელი დღის განმავლობაში ფეხზე იდგა კუბოსთან და მიუხედავად ხალხის მრავალჯერ თხოვნისა, არავითარ შემთხვევაში არ დაჯდა და ასევე ფეხით მიაცილა საფლავამდე. ამით დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ჩვენი შშობლებისადმიო. _ იგონებენ კოკინია დგებუაძის ქალიშვილები.

ასე გულწრფელი და წმინდა იდეალებით იყო გამსჭვალული ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძისა და შალვა დადიანის ხანგრძლივი მეგობრობა, რომელიც მშვენიერი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის."

ანდრეო თევზაძე
პოეტი
1965 წ.
(ლიტ. წერილები
გამოქ. 1977 წ.)

მაია მიქელაძის გახსენება

მოსწავლეობის დროიდან ვიცნობდი, მერე ჩვენი სამეზობლოს რძალი გახდა. მუდამ ღიმილიანი, უბოროტო სალამსა და მოკითხვას მოგაგებებდა ყოველი შეხვედრისას, შეეძლო სხვათა სიხარულით გახარება, ითავისებდა სხვათა სატკივარს.

მოწმენდილ ცაზე მეხთატეხას ჰგავდა მაია მიქელაძის გარდაცვალება. ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ის მწუხარება, მისი ოჯახი, ახლობლები, მეზობლები რომ განვიცდით.

შუახნის ასაკში აღესრულა მეუღლის, შვილის, რძლის, ორი პატარა შვილიშვილის წინაშე უზომოდ ვალმოხდილი.

მარტის სუსხიან დღეს ჯვარცმის სასაფლაოზე ახალი საფლავი წამოიბორცვა, ყველასთვის ძვირფასი ქალბატონი განისვენებს შიგ.

ნათელი შენს საფლავს, ჩვენო დაუვიწყარო მაია.

ლევან გაბეჩავა

ტოლების საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი

ზაირა ლეონს ასული ყაჭეიშვილი-თოფურია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გვახსოვხართ და...

წელი გავიდა ჩვენი რედაქციის ღვაწლმოსილი ქალბატონის, ცისანა ძოძუაშვილის გარდაცვალებიდან.

ბოლომდე დაიხარჯა, სანთელივით დაიღვენთა მშობლიურადქცეულ მეორე ოჯახში _ სამსახურში.

არ გვეთმობოდა, არ ვეთმობოდით.

6 მაისს გიორგობის ბრწყინვალე დღეს მივაბარეთ ჯვარცმის ბებერ მიწას ჩვენი ცისანა დეიდა და იმავე დღიდან დაიწყო მისი ახალი სიცოცხლე. სიცოცხლე ჩვენს ხსოვნაში.

ხშირად, ხშირად ვიგონებთ და იმ დროს ვიხსენებთ, ჩვენთან ერთად რომ იყო, ტოლს რომ არაფერში გვიდებდა ახალგაზრდებს და რჩევასაც ყოველთვის დროულად გვაძლევდა.

თითქოს სიკვდილი საოცრად "გაგვიშინაურდა" ბოლო ხანებში, მაგრამ ახლობელი ადამიანის ქვეყნიდან წასვლა მაინც საოცარ სიცარიელეს, სევდასა და მწუხარებას იწვევს.

ეს სტრიქონებიც სევდითაა ნაწერი, შენი არყოფნით გამოწვეული სევდით, ჩვენო ცისანა დეიდა.

ახსოვხართ შენს კოლექტივში.

გვახსოვხართ და...

არ დაგივიწყებთ, ნათელში იყავი!

ლევან გაბეჩავა



"საქართველოს რკინიგზას" დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს აბაშის წევის ქვესადგურის ყოფილი უფროსი

ვაჟა ვლადიმერის ძე ჯალაღონია.

ვაჟა ჯალაღონიამ მრავალი წლის მანძილზე იღვაწა საქართველოს რკინიგზაზე. ის გამოირჩეოდა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, მაღალი პროფესიონალიზმით და პრინციპულობით, ასევე თანამშრომლების მიმართ გულისხმიერი და კეთილი დამოკიდებულებით.

ის მრავალი წლის მანძილზე მთელი მონდომებითა და ენერგიით მუშაობდა აბაშის წევის ქვესადგურში, რის გამოც ქვესადგური გამორჩეული იყო ყველა ქვეერთეულს შორის საუკეთესო მაჩვენებლებით.

ბატონი ვაჟას ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლექტივის ყველა თანამშრომლის გულში.

"საქართველოს რკინიგზას" დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია

ვულოცავთ!

ბეჭან გოგბიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, დღეგრძელობას და უამრავ ბედნიერ დღეს. წარმატებები არ მოგკლებოდეთ როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. იხარეთ და იძლიერეთ ძვირფას მეუღლესთან, უსაყვარლეს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ ბეჭან გოგბიას!

"სამტრედიის მაცნეს" ნიჭიერი კოლექტივის თავკაცს, ბატონ ბეჭან გოგიას, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს საყვარელ ოჯახთან ერთად.

ვეტერანთა რაიონული კომერი

გიორგი ხაზარაძეს!

ჩვენო ბერმუხავ, გილოცავთ 93 -ე დაბადების დღეს, შვიდ წელიწადში საუკუნოვანი იუბილე მოგველოცოს!

იმყოფნი თანასოფლელი, თანდარიგის ჯოლბოლნიკი ავთანდილ კომა

ზაიდა კუკულავა _ გრიგოლიას!

ჩვენო საყვარელო ზაიდა მასწავლებელო, დიდი სიყვარულით გეფერებით და გილოცავთ 80 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მზეგრძელობას, ღმერთმა გიძლიეროთ ფუძე. სასახელო გაზრდილიყვნენ თქვენი საყვარელი შვილიშვილები, თინათინი ნინი და პატარა საბა, რომლებიც თქვენი იმედი და სიხარულია.

№-10 საშუალო სკოლის პედკოლექტივი



***

მე იისფერი შენი ცქერითა
მოფერებული,
შენს თვალებზე რომ ჩამომაღიმა,
შენით ნასუნთქი, მე სურნელება დაღლილი
შენს ღიმილზე რომ ჩამომაძინა.

***

მე გულისცემა ამომივარდა,
არავინ იყო ჩემთვის ეშველა,
დედაჩემმა რომ ჩამიკრა გულში,
თავისი სუსტი გულისცემით
ჩემს გულს ჩუმად წამოეშველა...

***

ბებერ მიწიდან გადაიშალა
ყაყაჩოს კვირტი,
დავინახე, რომ უეცრად ზამთარს
როგორ ჩაექცა თვალებში სისხლი.

გაზაფხული

ასე ჩანს, ალბათ, სოფელი ციდან...
მერცხალმა თავის ოჯახი იცნო,
შენ რომ იებად მიყურებ მორცხვად,
ყაყაჩოებად ვწითლდები თითქო.

***

ზამთრის წინადადების ბოლოს
ტელეფონის ხაზზე მერცხალი მძიმესავით
ჩამომჯდარა,
გაზაფხულის ახალი ფრაზის
დასაწყებად...

***

გაჩერებაზე ქვრივი ქალბატონი
ეფინა თითქოს, ფრთამოტეხილი
შაშვის ლანდივით...

***

წვიმების შემდეგ ცას სინანული
დაეუფლა.
და მზემ ცისარტყელას ოლარი
გადააფარა.

***

წითელი ყაყაჩო
ისე გაშლილა შენს ეზოში,
თითქოს გასცა შენთან
სიმორცხვე ჩემი...

***

სალამურში ტკბილი ჰანგები
ცხვრების ფარასავით
შელაგდნენ ისევ...

ერემლე თოფურია

ისევ ახალი წარმატება

დასრულდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში ("Imereti open" _ 2018. 14-22 აპრილი) ქ. ქუთაისში. ტურნირი 9 ტურად ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, უთანრიგო, მე-4 მე-3 და მე-2 თანრიგის მქონე მოჭადრაკე ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

კარგად იასპარეზეს სამტრედიელმა მოჭადრაკეებმა. 8 წლამდე 114 მოთამაშე ჭაბუკთა შორის საპრიზო მე-2 ადგილზე გავიდა სამტრედიელი 7 წლის გიორგი გუგუციძე და დაამტკიცა IV თანრიგი; მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა ვაჟა კაშიამ და დაამტკიცა II თანრიგი; მე-2 თანრიგოსანთა შორის კი მე-3 ადგილზე გავიდა ლიკა ხუჭუა და დაამტკიცა I თანრიგი, მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი.

საპრიზო ადგილზე გასული სამივე მოჭადრაკე იმერეთის ჭადრაკის ფედერაციამ დააჯილდოვა თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

მადლობა მწვრთნელს, ქალბატონ ნინო ჯვარშეიშვილს! ეს მორიგი წარმატება მისი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. იგი ძალ-ღონეს არ იშურებს თითოეული მოჭადრაკის დაოსტატებაზე.

გულიკო გოგიტიძე
ფაზისის ეკონომიკურია აკადემიის წევრი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპაკა